პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

შაბათი
4
აპრილი
1936 წ.
№ 78 (4537)

დღეს ნომერში:

- — თამბაქოს მაღალი მოსავლის ბერკეტი (მოწინავე).
- — საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება 1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ.
- — აკ. თათარიშვილი — ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ქართულ ლიტერატურაში.
- — ამხ. ლიტვინოვი დაბრუნდა მოსკოვს.
- — მკაცრი კრიტიკა პარიზში.
- — ასოშიეტედ პრესი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე იაპონელთა შეჭრის შესახებ.
- — არიტა — იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი.
- — უამინდობა ხელს უშლის ამხ. ვოდოპიანოვის შემდგომ გაფრენას.
- — სერაფიმა პაროშინამ ახალი მსოფლიო რეკორდი.

თამბაქოს მაღალი მოსავლის ბერკეტი

დღეს ვაქვეყნებთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებას „1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად, წელს თამბაქოს დასარგავი ფართობი განსაზღვრულია 19.400 ჰექტარით, ხოლო თამბაქოს პროდუქციის სავალდებულო კონტრაქტაციის დავალება 18.094 ტონით.

აფხაზეთისა და ლაგოდეხის რაიონის თამბაქო ცნობილია არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსა და უცხოეთშიც. მარტო ის ფაქტი, რომ ხარისხის მხრივ საქართველოს თამბაქოს პირველი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის თამბაქოს ბალანსში, მოწმობს, თუ რა დიდია ჩვენში თამბაქოს კულტურის განვითარების პერსპექტივა და შესაძლებლობანი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილება იძლევა ახალ მძლავრ იმპულსს თამბაქოს მოსავლის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

რაში მდგომარეობს ამ დადგენილების დედააზრი? უმთავრესად და ძირითადად იმაში, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს მეთამბაქოეთა აგრომომსახურება, კიდევ უფრო გაიზარდოს კოლმეურნეთა მასების დაინტერესება თამბაქოს კულტურით და ამის საფუძველზე მიღწეულ იქნას მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, თამბაქოს პროდუქტთა სტანდარტის გადაჭრით გაუმჯობესება.

კონტრაქტაციის წესით თამბაქოს ჩაბარების სავალდებულო საშუალო ნორმა ჰექტარზე აფხაზეთში უდრის 6,2 ცენტნერს, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში — 7,5 ცენტნერს. ეს ნორმა, რასაკვირველია, სავსებით რეალურია და ადვილად შესასრულებელია. კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს აქვთ შესაძლებლობა გაადიდონ თამბაქოს მოსავლიანობა, გადაჭარბებით შეასრულონ თამბაქოს კონტრაქტაციის სავალდებულო სახელმწიფო გეგმა და პრემია-წანამატების სახით მიიღონ ის შეღავათები, რომელიც დაწესებულია პარტიისა და ხელისუფლების სადირექტივო ორგანოების მიერ.

ამგვარად, თამბაქოს კულტურა შეიძლება და უნდა გადაიქცეს კიდევაც მეთამბაქოეობის რაიონთა კოლმეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროდ.

თამბაქოს პროდუქტზე ფასების გადიდება, მეთამბაქოეთათვის საკონტრაქტაციო ავანსების გაფართოება, გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში პრემია-წანამატებების წესის შემოღება, თამბაქოს რაიონების მომარაგების გაძლიერება პირველხარისხოვანი მანქანა-იარაღებით, სასუქით, კადრებით და მთელი რიგი შეღავათები ჰქმნის იმის სრულ შესაძლებლობას, რომ დასახული სახელმწიფო გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს.

ცნობილია, რომ თამბაქოს მაღალი მოსავლიანობის ბედს სწყვეტს ჯანსაღი სანერგე მასალის მოწოდება. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია რაიონი, სადაც ეს საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. ასეთ კი შეუძლებელია საფრთხეში ჩააგდოს მეთამბაქოეობის განვითარების მეტად სერიოზული საქმე.

უაღრესად გაიზარდა მეთამბაქოეობის რაიონთა ამოცანები. ის გარემოება, რომ წელს ხარისხიანობის მხრივ უფრო მაღალი ასორტიმენტია დაწესებული, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მეთამბაქოეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს.

თავდაპირველად ამ ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ დღეს გამოქვეყნებული დადგენილების ახსნა-განმარტებას. ამ დადგენილებას უნდა იცნობდეს მთელი საკოლმეურნეო სოფელი. მეთამბაქოეებმა უნდა იცოდნენ, რომ კონტრაქტაცია იდება კოლმეურნეობასთან, კოლმეურნეებთან (საკარმიდამო ნაკვეთი, სადაც თამბაქო მოჰყავთ) და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეებთან. მათ უნდა იცოდნენ, რას ავალებს თითეულ მეთამბაქოეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულება.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა სისტემატური კონტროლი, დახმარება და ხელის შეწყობა, რათა თვითეულმა კონტრაქტანტმა დროზე, მაღალხარისხოვნად შეასრულოს დავალება.

ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს მიწსახკომს და მის ადგილობრივ ორგანოებს. ჯანსაღი სანერგე მასალის მომარაგება, ნიადაგის სწორად შერჩევა-მომზადება, სასუქის შეტანა, ხვნა-დარგვის ვადების დაცვა, პლანტაციების სანიმუშო მოვლის უზრუნველყოფა და ოპერატიული აგრომომსახურება — აი რას უნდა მიაქციონ ფხიზელი ყურადღება მიწსახკომის ორგანოებმა.

მეთამბაქოეობის სტახანოველებმა წელს უნდა მოგვცენ თამბაქოს მაღალი მოსავლისა და ხარისხის ახალი ბრწყინვალე მიღწევები. მტს-ების დირექციებმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მეთამბაქოეობის ოსტატებს უნდა მისცენ ყოველგვარი საშუალება, რათა მათ გაშალონ თავიანთი ინიციატივა და უხვად თამბაქოს გაშენებისა და მოვლის საქმეში.

ყოველივე ეს უზრუნველყოფს მეთამბაქოეობის განვითარებაში მოცემულ დავალებათა შესრულებას და იმ საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტას, რომელსაც მეთამბაქოეობის რაიონებს აძლევს ამიერ-კავკასიის ორდენოსანი რესპუბლიკების საამაყო გამარჯვებათა სახელოვანი ორგანიზატორი ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ამხ. ლიტვინოვი დაბრუნდა მოსკოვს

მოსკოვი, 2 აპრილი. 2 აპრილს მოსკოვში დაბრუნდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი (ადს).

◊ ◊ ◊

უამინდობა ხელს უშლის ამხ. ვოდოპიანოვის შემდგომ გაფრენას

არხანგელსკი, 2 აპრილი. მთელ გზაზე, რომლითაც ამხ. ვოდოპიანოვის რგოლი უნდა გაფრინდეს, დილიდანვე ცუდი ამინდი იყო: ბურუსი, თოვლი, ძლიერი ქარი. შემდგომი გაფრენა ამდერმიდან შეჩერებულია, ვიდრე ამინდი არ გაუმჯობესდება. ამავე მიზეზით ამხ. ფარიხმა შეაჩერა გაფრენა კარიდან ამდერმაში (ადს).

◊ ◊ ◊

შორეულ აღმოსავლეთის მესაზღვრეთა დაჯილდოება

შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვისას გამოჩენილი სიფხიზლისა და სიმამაცისათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 აპრილის დადგენილებით დაჯილდოებულ იქნენ:

წითელი დროშის ორდენით — მესაზღვრე წითელარმიელები: პ. ფ. იხრომენკო, გ. მ. ვასილიევი, ი. ი. შლიაპოვი, ი. ი. გრეჩკო, ა. გ. შილოვი, პ. პ. სტრელკინი, მესაზღვრე, ათეულის მეთაური ტ. ფ. ოდინცოვი, საგუშაგოს უფროსი გ. დ. ემელიანცევი, რაზმის უფროსის თანაშემწე ს. ფ. მინკევიჩი, მესაზღვრე ათეულის მეთაური ე. მ. ჟურავლიოვი, მესაზღვრე, ათეულის მეთაური ვ. ა. კრუტჩენკო, მესაზღვრე წითელარმიელები: ა. მინგაზოვი, ს. ი. ვერიასოვი, ი. ფ. ომაზსკი, მესაზღვრე სკოლის კურსანტი მ. ვ. კულიბინი და ესკადრონის მეთაური ს. ა. ბონიჩი.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით — მესაზღვრე, წითელარმიელები: კ. ვ. ბელიაევი, ა. ა. ერმაკოვი, ი. ვ. მინონოვი, ა. დ. სტაროსტინი, ს. გ. სამოხვალოვი, სანაპირო რაზმის უფროსის თანაშემწე პოლიტნაწილში ი. ა. მუხინი, უბნის კომენდანტი ვ. ფ. ნესტეროვი, მესაზღვრე, ათეულის მეთაურები ტ. მ. მოჩალოვი და მ. ე. კაპილოვი, ესკადრონის სამხედრო კომისარი ი. ა. პოჟარსკი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — ა. ი. ემელიანცევა.

◊ ◊ ◊

„იზვესტიას“ კომენტარიები

მოსკოვი, 3 აპრილი. დღეს „იზვესტია“ კომენტარიებს უკეთებს ტოკიოდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ იაპონიის მთავრობას ორ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში კვანტუნის შტაბისაგან არავითარი ცნობა არ ჰქონდა ტამსკ-ბულაკში მომხდარი ამბების შესახებ. გაზეთი სწერს:

„ამგვარად, იაპონიის მთავრობა, ბოლოს, იძულებულია თვითონ აღიაროს, რომ კვანტუნის არმიის სარდლობა არათუ საჭიროდ არ სთვლის შეათანხმოს მასთან თავისი გეგმები, არამედ ინფორმაციასაც კი არ აწვდის მას საბჭოთა კავშირ-მანჯურიის და მანჯურია-მონღოლეთის საზღვრებზე ამ აგრესიული გეგმების ცხოვრებაში გატარების შესახებ“ (ადს).

რედაქციისაგან

„კომუნისტის“ ადრე გამოსვლასთან დაკავშირებით ვაცხადებთ დაწესებულებათა და ინდივიდუალურ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომ ტფილისში „კომუნისტის“ მიწოდება იწყება დილის 7 ს. 30 წ. და თავდება 9 ს. 30 წ.

იმ შემთხვევაში, თუ „კომუნისტი“ არ იქნა მიტანილი დილის 9 ს. 30 წუთამდე, უნდა ეცნობოს მთავარ ფოსტას ტელეფონით: 3—38—88; 3—31—07 და 3—37—45, არადამაკმაყოფილებელ პასუხის მიღების შემთხვევაში კი — „კომუნისტის“ გამომცემლობას ტელეფონით 3—51—81.

ლოკარნოს სახელმწიფოთა წინადადებაზე გერმანიის პასუხის გარშემო

მკაცრი კრიტიკა პარიზში

პარიზი, 2 აპრილი. („პრავდის“ საკ. კორ.) საფრანგეთის პრესა მკაცრად ეხმაურება ჰიტლერის ახალ წინადადებებს. საფრანგეთის ყველა ცნობილი პუბლიცისტი, დაწყებული პერტინაქსითა და ორმესონით და გათავებული ბიურეთი და ტაბუით, უაღრესად სასტიკად აკრიტიკებს ამ წინადადებებს. „ჰიტლერის წინადადებანი დოკუმენტია პროპაგანდისათვის“, — სწერს გაზეთი „ევრი“.

„ეს არის მუქარით აღსავსე დოკუმენტი“, — სწერს პერტინაქსი „ეკო დე პარიში“.

„ეს არის არაგულწრფელი ცდა შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი და თავიდან მოიშორონ პასუხისმგებლობა“ — სწერს ორმესონი „ფიგაროში“.

საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჩვეულებრივ თავდაჭერილი გაზეთი „პტი პარიზიენი“ დღეს ათავსებს ბურგესის უაღრესად მკაცრ სტატიას, სადაც გერმანიის წინადადებანი დახასიათებულია, როგორც „თავხედური, თვალთმაქცური, ტრაბახა, სასაცილო“ და მიჩნეულია „საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ შეურაცხმყოფელ საბრალმდებლო აქტად, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა უკუგდებულ იქნას“ (ადს).

○

ასოშიეტედ პრესი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე იაპონელთა შეჭრის შესახებ

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. ასოშიეტედ პრესის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, რომ „პრესას აკრძალული აქვს გამოაქვეყნოს რაიმე გარე-მონღოლეთის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, გარდა იაპონიის და მანჯურიის ოფიციალური კომუნიკეებისა. მაგრამ მანამდე, სანამ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდებოდა ცნობები გარე-მონღოლეთის ტერიტორიაზე შეჭრის შესახებ, იყო მითითება, იაპონიის ძალები მან. ჯოუ-გოს ჩრდილო-დასავლეთით ზოგიერთ მოქმედებას ამზადებენ. ტოკიოს არაიაპონელთა წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ შეჭრის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საკმაო ცნობების უქონლობა წარმოადგენს კიდევ ერთ მაგალითს იმ პირობებისას, რომლებშიაც მანჯოუ-გოში მყოფ იაპონელ სამხედრო წრეებს შეუძლიათ დაიწყონ სერიოზული მოქმედება ტოკიოს, განსაკუთრებით მთავრობის სამოქალაქო ნაწილის, დაუკითხავად და გაუფრთხილებლად“ (ადს).

მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაცემა საფრანგეთის და ბელგიის წარმომადგენელთათვის

ლონდონი, 3 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ საღამოს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში იდენმა საფრანგეთის და ბელგიის ელჩებს გადასცა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. პირველი დოკუმენტი წარმოადგენს იმ წერილის ტექსტს, რომლის მიხედვითაც ინგლისი უშიშროების გარანტიებს აძლევს საფრანგეთს და ბელგიას იმ შემთხვევაში, თუ უშედეგოდ დამთავრდება მოლაპარაკება გერმანიასთან მდგომარეობის მოგვარების შესახებ. ეს წერილი დაწერილია „თეთრი წიგნის“ სათანადო პუნქტის თანახმად. ის ფაქტი, — სწერს სააგენტო, — რომ ეს წერილი გადაეცა დღეს, არ ნიშნავს იმას, თითქოს ძალაში შევიდნენ ის ვალდებულებანი, რომლებზედაც ლაპარაკია წერილში და რომლებიც მტკიცე ურთიერთ ბაზას ემყარება. ეს ვალდებულებანი ძალაში შევლენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც, ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებს შორის მომხდარი კონსულტაციის შედეგად, გადაწყდება, რომ კრახით დამთავრდა შერიგების ცდები. როგორც სააგენტო აღნიშნავს, ამ ფაქტის დასადასტურებლად აუცილებელი იქნება ლოკარნოს სამი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევა.

მეორე დოკუმენტი, რომელიც დღეს ელჩებს გადაეცათ — ეს არის წერილი, სადაც ლაპარაკია იმ პოლიტიკურ ჩარჩოებზე, რომლებითაც უნდა განისაზღვროს მოლაპარაკება შტაბებს შორის.

რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, საფრანგეთის ელჩი ინგლისში კორბენი 3 აპრილს მიემგზავრება პარიზს იმისათვის, რომ მთავრობასთან ერთად განიხილოს მიღებული დოკუმენტები (ადს).

ბერლინი კონტროლს უწევს გერმანულ ორგანიზაციებს პოლონეთში

ვარშავა, 1 აპრილი. პოლონეთის სააგენტო „პრესი“ განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ პოლონეთში იჭრება გერმანიის ფაშიზმი. უკანასკნელ ცნობაში სააგენტო „პრესი“ მოჰყავს მთელი რიგი ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არა მარტო პოლიტიკურ სფეროში, არამედ კულტურის დარგშიაც გერმანელთა უმცირესობას პოლონეთში ყოველმხრივ კონტროლს უწევს ბერლინი. სააგენტოს სიტყვით, პოლონეთის ყოფილ გერმანულ ნაწილში არსებობს გერმანულ საზოგადოებრივ ბიბლიოთეკათა კავშირი. ეს კავშირი კონტროლს უწევს ყველა გერმანულ წიგნის მაღაზიას და ბიბლიოთეკას პოლონეთში. პოზნანში კონტროლიორის თანამდებობა უჭირავს ვინმე დოქტორ ლიუკს. დოქტორ ლიუკის ბრძანებით, სწერს სააგენტო, პოლონეთის გერმანულ ბიბლიოთეკებში ჰკრძალავენ ყველა წიგნს, რომლებიც აკრძალულია გერმანიაში. წიგნების ცენზურა, რომელსაც ჰიტლერელები პოზნანში ატარებენ, უფრო მკაცრია, ვიდრე გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს ცენზურა. ზემო სილეზიაში წიგნების ცენზურას განაგებს ვინმე კაუდერი.

შემდეგ სააგენტო „პრესი“ იუწყება, რომ ბერლინის კონტროლი ახალგაზრდობის აღზრდაზედაც ვრცელდება. ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო გერმანული ორგანიზაცია პოლონეთში ფულად დახმარებას ღებულობს ბერლინიდან. ფულადი დახმარების განაწილებას ეწევა სპეციალური ორგანიზაცია სახელწოდებით „დეიჩე შტიფტუნგი“. გერმანელ სტუდენტთა ორგანიზაციები ვარშავასა, კრაკოვსა და ლვოვში, სააგენტოს სიტყვით, სავსებით ემორჩილებიან „დეიჩე შტიფტუნგს“ (ადს).

◊ ◊ ◊

სამხედრო ბეგრის აღდგენა ავსტრიაში
საფრანგეთის პრესის კომენტარიები

პარიზი, 2 აპრილი. პარიზის პრესა გაცხოველებით იხილავს საყოველთაო სამხედრო ბეგრის აღდგენის ამბავს ავსტრიაში. „რეპუბლიკა“ აღნიშნავს, ეს აქტი არღვევს სენ-ჟერმენის ხელშეკრულებას. გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთა ლიგას, რომელმაც დიდი სისუსტე გამოიჩინა გერმანიაში სავალდებულო სამხედრო ბეგრის აღდგენის საკითხში, აგრეთვე ლოკარნოს ხელშეკრულების დარღვევის საკითხში, არ შეუძლია ძლიერ მკაცრი იყოს ავსტრიის მიმართ, რომელიც არავის ემუქრება. მეორე მხრით, გაზეთის აზრით, ევროპის ახლანდელ [illegible] მომენტში დიდი სახელმწიფოები ავსტრიის სამხედრო ძალების აღდგენას უყურებენ, როგორც ანშლუსის (გერმანიასთან ავსტრიის შეერთება) მუქარის თვალსაჩინო წინააღმდეგობას, იმავდროულად „რეპუბლიკა“ სერიოზულად მიაჩნია ავსტრიის გადაწყვეტილება და ამბობს: ავსტრია აქეზებს სხვა ქვეყნებს, როგორც, მაგალითად, უნგრეთსა და ბულგარეთს, რომლებიც ავსტრიის მაგალითისათვის წაბაძვით კიდევ უფრო გაართულებენ მდგომარეობას, ვინაიდან კერძოდ უნგრეთს მჭიდრო ურთიერთობა აქვს გერმანიასთან. „ევრი“ სწერს: ავსტრიის ეს ნაბიჯი მეტად სერიოზულია და მას აკავშირებს „[illegible] ანტანტასთან“, რომელსაც მუსოლინი ხელმძღვანელობს. გაზეთის სიტყვით, ავსტრიის ამბები დიდ მუქარას წარმოადგენს ევროპის მშვიდობიანობისთვის, ამასთანავე ამ მუქარისათვის მეტად დიდი პასუხისმგებლობა აკისრია გერმანიასა და იტალიას (ადს).

ლონდონში იმედგაცრუებული არიან გერმანიის პასუხით

ლონდონი, 1 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის მთავრობა არ გაგზავნის პასუხს გერმანიის მემორანდუმზე ისე, თუ კონსულტაცია არ გამართა საფრანგეთთან და ბელგიასთან, რომელთა ელჩებს იდენმა გერმანიის მემორანდუმის ტექსტი გადასცა. მემორანდუმის ასლი ეგზავნება აგრეთვე იტალიის მთავრობას. სააგენტო სწერს, რომ ინგლისის პოლიტიკური წრეების აზრით, „გერმანიის მთავრობა თავისი პასუხით ხელს არ უშლის შემდგომ მეცადინეობას — გამოინახოს ბაზა, რომელზეც შეიძლებოდეს მოლაპარაკების დაწყება“, მაგრამ, ენერგიულად აღნიშნავენ, რომ პასუხი დამაკმაყოფილებელი არ არის. წინადადებანი მოლაპარაკების დაწყების პერიოდის შესახებ უფრო მეტად მოიწონეს, ვიდრე წინადადებანი რომლებიც გარდამავალ პერიოდს შეეხება. განსაკუთრებით იმედგაცრუებული არიან იმით, რომ გერმანიის მთავრობამ არ იკისრა ვალდებულება — თავი შეიკავოს რეინის ზონის გამაგრებაზე მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებამდე. ხანმოკლე გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სიმაგრეთა აგების შეუძლებლობა არ მიაჩნიათ სრული ღირებულების კომპენსაციად იმ ვალდებულებაზე უარისთქმისათვის, რომ გერმანიას თავი შეეკავებინა რეინის ზონის გამაგრებისაგან.

ასეთ ვალდებულებას ლონდონში მიიჩნევდნენ ისეთ გარემოებათ, რომელიც ფრიად შეუწყობდა ხელს ხიდის გადებას გარდამავალ პერიოდზე. „რეიტერი აღნიშნავს, პოლიტიკურ წრეებში კმაყოფილი არიან გერმანიის მთავრობის განცხადებით, რომ მას არა აქვს განზრახვა თავს დაესხას საფრანგეთსა და ბელგიას. ხოლო ამასთან სააგენტო განაგრძობს: „მაგრამ ენერგიულად აკრიტიკებენ გერმანიის მთავრობის მოსაზრებებს საფრანგეთისა და ბელგიის გენერალური შტაბების წარმომადგენლებთან მომავალი საუბრების წინააღმდეგ. გარკვევით არ ღებულობენ იმ არგუმენტს, რომ ეს საუბრები გერმანიის მთავრობისათვის გაუგებარია და სერიოზულად აფერხებს მოლაპარაკებას“. (ადს).

○

საბჭოთა კავშირ — ბელგიის სავაჭრო შეთანხმება

პარიზი, 3 აპრილი. ჰავასის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, რომ ბელგიის დეპუტატთა პალატამ მოიწონა სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან (ადს).

იდენის საუბარი რიბენტროპთან

ლონდონი, 2 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იდენის საუბარი რიბენტროპთან, რამაც საათნახევარს გასტანა, ზოგადი ხასიათისა იყო და ეხებოდა საკითხების ფართო წრეს. გერმანიის ზოგად სქემას მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე გერმანიის წინადადებებს გარდამავალი პერიოდის შესახებ. ფიქრობენ, სწერს სააგენტო, — რომ განხილვის ერთერთი ძირითადი საგანი იყო საკითხი: გერმანიის მიერ შემოთავაზებულ უშიშროების პაქტში ინგლისმა მონაწილეობა უნდა მიიღოს გარანტის სახით, როგორც ეს გერმანიის მემორანდუმში არის აღნიშნული, თუ ურთიერთდახმარების პაქტების მონაწილის სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია „თეთრ წიგნში“.

რაც შეეხება გენერალური შტაბების მოლაპარაკებას, — განაგრძობს სააგენტო, — იდენმა, როგორც ფიქრობენ, აღნიშნა, რომ რამდენადაც ის ზომები, რომლებსაც მოლაპარაკების დროს გენერალური შტაბები შეიმუშავებენ, გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია თავს დაესხმის საფრანგეთსა და ბელგიას, და რამდენადაც ეს შესაძლებლობა გერმანიის მემორანდუმით გამორიცხულია, — გერმანიას საფუძველი არა აქვს გაილაშქროს ამ მოლაპარაკების წინააღმდეგ. იდენმა ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ „თეთრ წიგნში“ მოხსენიებული წერილის საფრანგეთის ელჩ კორბენისათვის გადაცემა არ ნიშნავს, რომ ეს დაპირებანი, რომლებსაც ეს წერილი შეიცავს, ძალაში შევა უფრო ადრე, ვიდრე შერიგების ცდები კრახით დამთავრდებაო. (ადს).

○

არიტა — იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი

ტოკიო, 2 აპრილი. დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ ტოკიოში დღეს ჩამოსული არიტა ოფიციალურად დანიშნეს საგარეო საქმეთა მინისტრად. ამავე დროს პრემიერი ჰიროტა გაათავისუფლეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის ასრულებისაგან (ადს).

◊

საფრანგეთის ელჩების თათბირი

პარიზი, 2 აპრილი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ფლანდენმა პარიზში მოიწვია საფრანგეთის ბერლინელი, ლონდონელი, რომაელი და ბრიუსელელი ელჩები, რათა მათთან გამართოს ფართო თათბირი გერმანიის მიერ საპასუხო მემორანდუმის გადაცემასთან დაკავშირებით (ადს).

ვთესოთ სტახანოვური ტემპით და ხარისხით

სტახანოველ ტრაქტორისტთა საამაყო რეკორდები

მცხეთის მტს-მა, რომელიც თავის დროზე ჩაება ჩრდილო-კავკასიის მხარის მტს-ის ინიციატივით გამოცხადებულ მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, აიღო ვალდებულება მაქსიმალურად დატვირთოს ტრაქტორები და სტახანოვური მეთოდის დანერგვით უზრუნველყოს საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით და ხარისხოვნად შესრულება.

29 მარტი მცხეთის მტს-მა სტახანოვურ დღედ გამოაცხადა.

— 10-საათიდან სამუშაო დღეში ნორმით მოცემულ 1,9 ჰექტარის ნაცვლად მოვხნავთ 2,3 ჰექტარს, სულ კი 21 ტრაქტორით მოვხნავთ 48,3 ჰექტარს, ნაცვლად 39,9 ჰექტარისა. გადახვნაზე ვამუშავებთ 3 ტრაქტორს და გადავხნავთ 12 ჰექტარს, ნაცვლად 9,9 ჰექტარისა, 2 ტრაქტორით 30 ჰექტარზე ჩავატარებთ კულტივაციას. 2 ტრაქტორით დავთესავთ 21 ჰექტარ სიმინდს, ნაცვლად 16 ჰექტარისა, საწვავი მასალის (ნავთი) ხარჯვას თითო ჰექტარზე დავიყვანთ — ხვნაზე 32 კილოგრამამდე, გადახვნაზე 17 კილოგრამამდე, კულტივაციაზე 7,2 კილოგრამამდე და თესვაზე 6,8 კილოგრამამდე.

— ასეთი იყო მცხეთის მტს-ის ვალდებულებანი სტახანოვური დღისათვის.

სიტყვას საქმე მოჰყვა! სტახანოვურმა დღემ შრომის ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლები მოგვცა. სტახანოველმა ტრაქტორისტებმა არამც თუ უკან მოიტოვეს საქ. მიწსახკომის ნორმები არამედ მტს-ს მიერ ნაკისრ ვალდებულებებსაც გადააჭარბეს.

ტრაქტორისტმა ამხ. გ. მელაძემ (კომკავშირელი) ნორმით გათვალისწინებული 1,9 ჰექტრის ნაცვლად მოხნა 4,68 ჰექტარი (დღიური გეგმა შეასრულა 246 პროც.), საწვავი მასალა დაზოგა 37,7 კილოგრ.

ამავე ბრიგადის № 4 ტრაქტორის სტახანოველმა ტრაქტორისტმა ამხ. ვ. ჩიგოშვილმა პირველმა გამოიყენა ხვნაზე სამფრთიანი გუთანი და, მიუხედავად მესამე ფრთის ხშირი მოცდენისა, ნორმით მიცემული 3,6 ჰექტარის ნაცვლად 5,28 ჰექტარი მოხნა (დაწესებულ ნორმას გადააჭარბა, 46,6 პროც., ხოლო ნაკისრ ვალდებულებას 26,7 პროც.), დაზოგა 14,72 კილოგრამი საწვავი მასალა.

ხვნის დღიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ტრაქტორისტებმა: ქადაგიშვილმა (200 პროც.), ოსეფაშვილმა (190 პროც.), გ. პეტრუხოვმა (170 პროც.), ნაკაყიდაშვილმა (150 პროც.), ჯერანაშვილმა (168 პროც.), ვ. ქავთარაძემ (179 პროც.), გ. დიდებაშვილმა (157 პროც.), ს. ალიხანაშვილმა (163 პროც.), ფოცხვერაშვილმა (180 პროც.), ფირადაშვილმა (183 პროც.), არჩილ ჩიგოშვილმა (185 პროც.), დ. ოსეფაშვილმა (184 პროც.).

თვითეულმა ტრაქტორმა სტახანოვურ დღეს საშუალოდ მოხნა 3,2 ჰექტარი, ნაცვლად ნორმით დაწესებულ 1,3 ჰექტარისა. ნავთის ხარჯვა 1 ჰექტარზე დაყვანილ იქნა 30 კილოგრამამდე, ნაცვლად 32 კილოგრამისა.

მტს-ის მიერ სტახანოვური დღისათვის ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით იქნა შესრულებული; ნაცვლად 48,3 ჰექტარისა, მოხნულია 87,2 ჰექტარი და დაზოგილია 171 კილოგრამი ნავთი.

ხარისხის შემოწმებამ, რომელსაც აწარმოებდნენ მტს-ის აგრონომები გამოარკვია, რომ ხვნა ჩატარდა მაღალხარისხოვნად (22-24 სანტიმეტრის სიღრმის დაცვით) და ხარვეზიანობის სრული ლიკვიდაციით.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ კოლმეურნეობებმა სატრაქტორო ბრიგადებს კარგი დახმარება აღმოუჩინეს. 29 მარტს პირველად განხორციელდა ხვნის ადგილზე ტრაქტორებისათვის ნავთის და წყლის მიწოდება.

სატრაქტორო ბრიგადებში სამუშაოდ გასვლის წინ და მუშაობის დამთავრების შემდეგ გამოშვებულ იქნა საველე გაზეთი. ბრიგადებში შემოიღეს გარდამავალი დროშა.

№ 1 ბრიგადაში მტს-ს დირექტორის მოადგილეს ამხ. ი. ფირცხალავას უშუალო ხელმძღვანელობით შემოწმდა სტახანოვური დღის პირველი ნახევრის შედეგები. ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის გარდამავალი დროშა გადაეცა № 18 ტრაქტორის ტრაქტორისტს ამხ. პეტრუხოვს.

მტს-ს დირექციამ და პარტორგანიზაციამ შეაჯამეს სტახანოვური დღის შედეგები და დაიწყეს სამზადისი სტახანოვურ ხუთდღიურზე გადასასვლელად.

ვალ. ჯიქიძე.

* * *

პუდრი, მანიკური და... თესვა!

დღის პირველ საათზე ფოთის აღმასკომის საერთო განყოფილებაში თავი მოეყარათ მიწგანის თანამშრომლებს. პროფესიის მიხედვით აქ იყვნენ აგრონომი და მემანქანე, ზოოტექნიკოსი და საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი და მოლარე. მათ შორის ქალებიც...

გარდა შინაურებისა ამ კოლექტივის შემადგენლობაში შედიოდნენ ნ. გოგიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქანთარია და ქალაქკომის ინსტრუქტორი ასანიძე. ეს უკანასკნელი ცხარედ ეკამათებოდა ზოოტექნიკოს მამულიას. მეცხოველეობის საკითხებზე კი არა, ყოფაცხოვრების „აქტუალურ“ თემებზე.

— პუდრი და პომადა, როგორც ასეთი ჰიგიენური საშუალებებია — ამტკიცებდა ინსტრუქტორი.

— ტუჩების საღებავებით შეთხუპნა ვერავითარი ჰიგიენაა — იდავებოდა ინსტრუქტორის ზოოტექნიკოსი.

— შენ ძამია ამ საქმისა არაფერი გესმის!

— მართლაც რომ არაფერი გაეგება — იმეორებდნენ კოსმეტიკის გადაჭარბებით მოყვარული ქალიშვილები.

— მაშ თქვენი აზრით მანიკურიც ჰიგიენური ყოფილა.

— რატომაც არა — მანიკურსაც აქვს თავისი დანიშნულება.

— თუ ძმა ხარ, დაანებეთ თავი მაგ სისულელის და ჩემი ღორების შესყიდვის საქმე მაინც გამაფორმებინეთ — ვერ მოითმინა ქანთარიამ.

— მეოთხე დღეა ყულევის გოგიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქანთარია ფოთის მიწგანში დადის და ვერ ეღირსა იმ ღორების შესყიდვის გაფორმებას, რომლებიც კოლმეურნეობამ სანაშენოდ შეიძინა.

რაიონში სათესლე მასალის შემოწმების საქმე მოგვარებული არ არის. ტრაქტორების შეკეთებაც იგვიანებს. კოლმეურნეობებს კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ. გაზაფხულის დღეები კი მიდის, თესვა ჭიანურდება.

29 მარტისათვის რაიონში პირველი ხვნის გეგმა შესრულებული იყო 60 პროცენტით, ხოლო ბოსტნეულის თესვისა 88-ით. აღნიშნულ დროისათვის ბოსტნეულის დასათესად ნიადაგის მომზადება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ეს სამუშაო განსაკუთრებით ჩამორჩენილია კრუპსკაიას სახ. კოლმეურნეობაში.

კიდევ უარესი მდგომარეობაა კოლმეურნეობა „მეურნეში“.

მიწგანის მუშაკებს შორის კი მიდის დავა მანიკურზე, პომადებზე, პუდრის დანიშნულებასა და სხვა ასეთებზე. ჩვენ, რასაკვირველია, ამ საკითხებზე მსჯელობის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ საქმე ბევრს მოითხოვს, რომ ეს დავა ფოთის მიწგანის მუშაკებს სხვა დროისათვის გადაედოთ და ახლა დამკვრელურად გაეშალათ თესვის სამუშაოები.

ივ. გვასალია

საგაზაფხულო ხვნა-თესვა საქართველოში
მიწსახკომის 1 აპრილის ცნობებით

რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება პროც.	თესვის გეგმის შესრულება პროც.
ახალციხის	83,9	28,6
ადიგენის	31,4	2,5
ასპინძის	8,4	16,3
ხაშურის	74,2	21,3
გორის	80,9	16,5
კასპის	95,7	30,9
ბორჯომის	11,8	7,2
გურჯაანის	149,7	42,5
სიღნაღის	123,7	68,1
თელავის	102,2	26,4
ყვარლის	108,6	7,5
ლაგოდეხის	101,5	5,6
ტფილისის	165,9	54,6
ყარაიას	95	18,9
ბორჩალოს	95,9	15,2
ლუქსემბურგის	61,7	38,5
წალკის	1,2	0,2
დუშეთის	91,2	25,9
ახალქალაქის	105,2	45,4
საგარეჯოს	93,1	37,5
ბაშკიჩეთის	12,9	0,9
თიანეთის	26,1	1,6
სამხრეთ-ოსეთი	70,9	19,3
ქუთაისის	82,1	2,7
სამტრედიის	93,1	—
ხონის	97,3	0,7
ვანის	125,2	1,9
ბაღდადის	98,7	0,2
ტყიბულის	38,8	22,1
ჩხარის	148,6	38
ჭიათურის	66,2	7,2
ხარაგოულის	13,4	9,4
ოკრიბის	18,6	7,9
ონის	1,2	3,7
ცაგერის	17,3	1,4
[illegible]	3,3	2,9
აბაშის	116,3	—
ცხაკაიის	108,8	—
მარტვილის	135,2	0,8
ზუგდიდის	71,2	0,1
ხობის	70	—
წალენჯიხის	45,9	—
ჩხოროწყუს	94,1	—
მახარაძის	14,1	0,1
ლანჩხუთის	64,2	0,2
ჩოხატაურის	28,1	9,8
ფოთის	42	16,3
აფხაზეთი	100,2	—
აჭარა	54,1	—
სულ რესპუბლიკაში	**69,4**	**11,6**

○

წელს საქართველოში საგაზაფხულო კულტურები უნდა დაითესოს 665.819 ჰექტარზე 1 აპრილისათვის დათესილი იყო 77.188 ჰექტარი (გეგმის 11,6 პროც.). შარშანდელთან შედარებით 1 აპრილისათვის მოხნულია 138.401 ჰექტარით და დათესილია 50.752 ჰექტარით მეტი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვის ფრონტზე ყველაფერი რიგზე იყოს. მთელ რიგ რაიონებში ხვნა-თესვა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ცნობები, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ, მოწმობს, რომ საგაზაფხულო ხვნაში ყველაზე უფრო ჩამორჩნენ ლუქსემბურგის, ხაშურის, ჩოლურის და მახარაძის რაიონები. ხოლო ამბროლაურის რაიონს 1 აპრილისათვის ხვნა არ ჰქონდა დაწყებულიც კი.

ამ რაიონებს ყველა პირობა ჰქონდათ ხვნა-თესვა დამკვრელური ტემპებით გაეჩაღებინათ. რაიონის ზოგი „ობიექტური“ მიზეზით თავის გამართლება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. 1 აპრილისათვის მახარაძის რაიონს ხვნის გეგმა შესრულებული ჰქონდა 14,1 პროცენტით, ხოლო მის მეზობელ რაიონს — ლანჩხუთისას კი — 64,2 პროცენტით. რა შუაშია აქ „ობიექტური“ მიზეზები?

თესვაში ყველაზე უფრო ჩამორჩნენ გორის, ბორჩალოს და საგარეჯოს რაიონები.

ხრამჰესის მშენებლობაზე

მოსკოვი, 29 მარტი. წელს ფართოდ გაიშლება ხრამის (საქართველო) ელსადგურის ძირითად ნაგებობათა მშენებლობა.

მდინარე ხრამი მიმდინარეობს წალკის უდიდეს ქვაბულზე, რომელსაც მთები ჰქმნიან. მთის ხეობის ყველაზე მეტად ვიწრო ალაგას აგებენ 37 მეტრის სიმაღლის კაშხალს. კაშხალით გადაღობილი მდინარე დაფარავს ქვაბულს. შეიქმნება უზარმაზარი ბუნებრივი წყალსაცავი, რომლის სივრცე იქნება 42 კვ. კილომეტრი და დაიტევს 375 მილიონ კუბურ მეტრ წყალს. ხრამის წყალი სადერივაციო გვირაბებითა და წყალსავლით გაემართება ხეობაში მოთავსებული ჰიდრო-სადგურის ტურბინებისკენ.

წელს ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე გადადებულია 29,5 მილიონი მანეთი, განზრახულია შესრულდეს კაშხალის აგების სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, გაიჭრას 4 კილომეტრი სადერივაციო გვირაბი, ხოლო მიებში აშენდეს დამხმარე საწარმოები და სხ.

ხრამის ჰიდროელსადგურის კაშხალი ორიგინალური ტიპისა არის. აქ პირველად საბჭოთა კავშირში აშენდება ეგრეთწოდებული იტალიური „[illegible]“ ქვის მშრალი წყობის მეთოდით. წყლის მხრით კაშხალს დაჰფარავენ რკინა-ბეტონის ეკრანით, რათა თავიდან აიცილონ ფილტრაცია (წყლის გამოჟონვა). ასეთი კაშხალის უპირატესობა ის არის, რომ იგი დიდად ამცირებს მუშაობის მოცულობას.

ძალიან რთულს და ტექნიკურად საინტერესო სამუშაოს წარმოადგენს გვირაბის გაჭრა. მეტად მაგარ ქანებში უნდა გაიჭრას სულ 8 კილომეტრი გვირაბი.

ხრამის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის სიმძლავრე 90 ათას კილოვატს უდრის. ამიერ-კავკასიის მაღალვოლტიან საერთო ქსელში ჩართული, იგი მოახდენს საქართველოში არსებულ ჰიდროელსადგურთა მუშაობის რეგულირებას, შეავსებს მათი გამომუშავებული ენერგიის ნაკლებობას წყლის სიმცირის პერიოდში.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეებს — სანიმუშოდ მოწყობილი საბავშვო დაწესებულებები!

ანეტა ჩხაიძე სოფ. ნაგომრის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის წევრია. მას მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, მაგრამ სამუშაო დღეებს უმიზეზოდ იშვიათად აცდენს. კოლმეურნეობას გახსნილი აქვს საბავშვო ბაგა. სამუშაოზე გასვლისას ანეტა აქ სტოვებს ბავშვს. ბაგაში დილიდან საღამომდე მზრუნველობით უვლიან კოლმეურნეთა ლუნწილა შვილებს. დედები კი გულდამშვიდებით კრეფენ ჩაის, პლანტაციებს ასუფთავებენ სარეველა ბალახებისაგან, ანოყიერებენ მინერალური სასუქით, აფხვიერებენ ბუჩქებს. ანეტა ჩხაიძემ შარშან 280 შრომა-დღე გამოიმუშავა. ეს საბავშვო ბაგა რომ არ ყოფილიყო, იგი ამის ნახევრის გამომუშავებასაც ვერ შეძლებდა.

ეს ერთეული შემთხვევა როდია. ასე ხდება ყველგან იქ, სადაც სწორად ატარებენ ცხოვრებაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას.

პარტია და ხელისუფლება ყოველწლიურად აფართოვებენ საბავშვო დაწესებულებათა ქსელს და ყოველმხრივ ეხმარებიან ქალებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ყოველდღიურ საქმიანობაში იცხოვრონ შეძლებულად და კულტურულად. თითქმის ყველა რაიონში არსებობს ახლა დედათა და ბავშვთა საკონსულტაციო წერტები, საბავშვო საავადმყოფოები, ბაღები და კერები. შარშან საქართველოში სულ 977 სეზონური და მუდმივი საბავშვო ბაგა იყო მოწყობილი 18.700 ბავშვისათვის. წელს კი მარტო კოლმეურნეობებში საბავშვო ბაგების, რიცხვი იმ რაოდენობით უნდა გაიზარდოს, რომ უზრუნველვყოთ კოლმეურნეთა სულ მცირე 15.000 ბავშვის ნორმალური მომსახურება.

წელს საბავშვო ბაგების მოწყობაზე გარდა იმ თანხებისა, რაც თვით-კოლმეურნეობებმა უნდა გაიღონ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხაზით სულ 4.000 ათ. მან. დაიხარჯება. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მოახლოვებასთან დაკავშირებით ახლა ყველგან გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს საბავშვო ბაგების მოსაწყობად. ხდება ბაგებში ჩასაბმელ ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა, ამზადებენ ინვენტარებს. მახარაძის, ქუთაისის, ბათუმის, ტფილისის და სოხუმის რაიონებში მთავრდება ბაგის ხელმძღვანელთა მოსამზადებელი კურსების გამოშვება. ბავშვთა და ყრმათა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურმა სამმართველომ ბაგების საჭიროებისათვის რაიონებში უკვე გაგზავნა საბავშვო ფეხსაცმელებისა და თეთრეულის პირველი პარტია.

მთელი რიგი რაიონები საბავშვო დაწესებულებათა ქსელის ფართოდ გაშლაში სანიმუშო მაგალითებს იძლევიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მახარაძის რაიონი, რომელსაც მთელს რესპუბლიკაში პირველი ადგილი უჭირავს.

ამ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველგვარ ზომებს ხმარობენ იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში ამჟამად ჩაბმული 3.733 ქალის შრომა წელს სწორად იქნას გამოყენებული. აქ ყველა კოლმეურნეობაში ეწყობა ბავშვთა ბაგა. კერძოდ სოფ. გურიანთის კოლმეურნეობაში 4 ბაგა გაიხსნება. ხოლო სოფ. ჯუმათის, შრომის და ლაშე გაკრულის კოლმეურნეობებში ორ-ორი. ბაგები მოეწყობა აგრეთვე რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობაში (ნასაკირალი, ლაითური, ურეკი, ნატანები, ბახვი, ანასეული) და ჩაის ფაბრიკებთან, რაზედაც დაიხარჯება 368.000 მანეთი. ასაკგადაცილებულ ბავშვებისათვის ამასთან ერთად საჭიროების მიხედვით ყველგან გაიხსნება საბავშვო ბაღები.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში საბავშვო ბაგებისათვის გამოყოფილი აქვთ ხორბლეული, კარტოფილი, ბრინჯი, თაფლი, კვერცხი და რძის პროდუქტები. სოფ. გურიანთის კოლმეურნეობას კი გადაწყვეტილი აქვს წელსვე გააშენოს ბაგისათვის სპეციალური ბოსტანი.

საერთოდ მახარაძის რაიონში კარგად არის დაყენებული დედათა და ბავშვთა დაცვა. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გახსნილია ბავშვთა კონსულტაცია და სტაციონარი. წელს ქალ. მახარაძეში იხსნება საკვები სადგური, ბავშვთა და ქალთა სპეციალური საავადმყოფო 60 საწოლით.

მოწინავეთა გვერდით არიან ისეთი რაიონები და სოფლები სადაც საბავშვო დაწესებულებათა ქსელის მოწყობაში დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენენ. მაგალითად ზეგანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (გურჯაანის რაიონი), საბავშვო ბაგის ინვენტარის მთელი კომპლექტი 3 წელზე მეტია გამოუყენებლად ინახება. ბორჩალოს სამალარიო სადგურს საქ. ჯანსახკომი სამი წლის განმავლობაში უგზავნიდა საბავშვო ბაგების ინვენტარსა და თეთრეულს, მაგრამ იგი კოლმეურნეობებისათვის არ გადაუციათ. საწყობებში ინახავდნენ. მსგავსი შემთხვევა იყო ჩხოროწყუს რაიონშიაც. ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ჯანსახკომისაგან მოითხოვდა ბაგის ინვენტარს, მაშინ როცა ეს ინვენტარი რაიონის ცენტრში უქმად ეგდო. ლანჩხუთის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში შარშან ვადამდე დახურეს საბავშვო ბაგები, იმის გამო, რომ დროზე ვერ გამოყვეს საკვები ფონდი. ცხაკაიას რაიონის მთელ რიგ ბაგებში ბავშვების შენახვა ძალიან ძვირი ჯდება, რადგან პროდუქტებს კერძო ბაზარზე იძენენ. ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ბავშვთა ბაღი და ბაგა ერთ ოთახშია მოთავსებული.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება კერძოდ ამხ. სტალინის მითითებები ქალთა შრომის გამოყენების შესახებ, ურყევად უნდა შესრულდეს. ამისათვის კი საჭიროა ყველა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მოწინავეთა გამოცდილების საფუძველზე დაუყონებლივ გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებანი, სერიოზულად ჩაუდგნენ სათავეში საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, გადაჭრით გააუმჯობესონ მათი მუშაობა და განამტკიცონ ისინი საქმის მცოდნე და უნარიანი ხელმძღვანელ კადრებით.

ტ. აცანელი

◇ ◇ ◇

კუმისის ტბის ტალახი

ექ. მ. ნოდია

მრავალი სხვადასხვა ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ ტალახს დიდი მნიშვნელობა აქვს. ტალახით მკურნალობა იშვიათ ეფექტიანობას იძლევა. ეს მიეწერება მის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს და მეტადრე თავისებურ თერმიულ მოქმედებას. ფიზიო-თერაპიულ მკურნალობის ამ სახეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიული მუშებისათვის (ტრავმატული, რევმატიული დაავადებანი და სხვ.)

საქართველოში ტალახით მკურნალობის ჯერჯერობით ერთადერთი წყარო ახტალაა. მისი ტალახი იხმარება როგორც ადგილობრივ - კურორტის პირობებში, ისე კურორტის გარეთ სამკურნალოდაც საქართველოს და ამიერ - კავკასიის ტალახსამკურნალოებში.

ახტალის ტალახის დღევანდელი დებიტი 6.500 დეკალიტრს უდრის. ახლო მომავალში გენერალური გეგმით ახტალა გადადის მთელი წლის მუშაობაზე. ამ შემთხვევაში ტალახის მთელი მარაგი მასვე დასჭირდება, ხოლო კურორტს გარეთ ტალახით მკურნალობისათვის სხვა წყარო საქართველოში ჯერჯერობით არ მოგვეპოება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ჩვენში ტალახის მარაგის ყოველ ახალ წყაროს, პირველ რიგში კუმისის ტბას. ეს ტბა მდებარეობს ტფილისთან ძალიან ახლოს. თავის ფართობით კუმისის ტბა 4 კვადრატულ კილომეტრს აღწევს. ეს იმ დროს, როდესაც ტამბუკანის ტბა, რომელიც ამარაგებს სამკურნალო ტალახით ჩრდილო - კავკასიის მინერალურ წყალთა კურორტებს (პიატიგორსკი, ესენტუკი და სხვ.), ფართობით ერთ კვადრატულ კილომეტრსაც ვერ აღწევს. კუმისის ტბის ტალახის ფიზიკურ - ქიმიური მიკრობიოლოგიური და კლინიკური დაკვირვების წინასწარი დასკვნები უკვე საკმარისად არის დაგროვილი. კუმისის ტალახი თავისი ფიზიკურ - ქიმიური თვისებებით ცალკეული ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ (პროფ. ნალბანდოვი, პროფ. ბუქსგერი, დოც. დ. ჯავახიშვილი, ექიმი ზანდუკელი), შეფასებულია, როგორც საუკეთესო სამკურნალო ტალახი და უფრო მაღალი თვისების, ვიდრე ტამბუკანის (პიატიგორსკი, ესენტუკი) და ახტალის ტალახია. ამ ტალახს დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტს გარეთ მკურნალობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად კუმისის ტბას სრული დაშრობა მოელის. ეს იმიტომ, რომ ტბის რეჟიმის დაცვის ზონაში ტყეები განადგურებულია, ხოლო თვით წყაროები, რომლებიც ტბას კვებავდნენ, ამ უკანასკნელ დროში გადაყვანილია ახლო მდებარე სოფლებისათვის წყლის მისაწოდებლად და ტბა სრულებით მოკლებულია წყაროს. საჭიროა ტბას დაუბრუნდეს თავისი წყაროები, აგრეთვე სასწრაფოდ შემოისაზღვროს ტბის დაცვის სამთო სანიტარული ზონა, რომელიც უნდა შეუერთდეს იქვე ახლო მდებარე კურორტ კოჯრის სამთო სანიტარულ დაცვის ზონას. კუმისის ტბასთან ატმოსფერული ნალექების, ტბის საერთო რეჟიმისა და კლიმატური პირობების შესასწავლად უნდა მოეწყოს ადგილობრივ მეტეოროლოგიური სადგური.

კუმისის ტბის საბოლოოდ ფიზიკურ-ქიმიური, მიკრო - ბიოლოგიური, ჰიდრო-გეოლოგიური და კლინიკური ზუსტი მონაცემების მისაღებად აუცილებლად საჭირო სათანადო სამუშაოების გაწევა.

ცხადია, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ისეთი ძვირფასი სამკურნალო საშუალების ექსპლოატაცია, როგორიც არის კუმისის ტალახი.

საბჭოთა კავშირში

ჩემპიონმა სერაფიმა პარომოვამ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი გლსხუნებით რბენაში

გორკი, 2 აპრილი. 2 აპრილს, დილის 8 საათზე, მსოფლიო და საკავშირო რეკორდების გადაჭარბებისათვის გორკიში გამართულ მეგლუსუნეთა შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სერაფიმა პარომოვამ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 5 ათას მეტრზე; ეს დისტანცია მან გაიარა 9 წუთსა და 53 წამში. პარომოვამ გადააჭარბა კიროველ ისაკოვას მსოფლიო რეკორდს — 10 წუთი და 1,4 წამი, რამაც მხოლოდ 2 დღეს გასტანა (ადს).

ქსოვილი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი

მოსკოვი, 2 აპრილი. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოები გამოუშვებენ გაცილებით მეტ პროდუქციას, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში იყო გამოშვებული. გამოშვებული იქნება 650 მილიონ მეტრზე მეტი ბამბის ქსოვილი. 1935 წლის მეორე კვარტალთან შედარებით ბამბის ქსოვილის წარმოება ერთ მეოთხედზე მეტით გაფართოვდება მატყლის სელისა და ნახევარსელის ქსოვილების გამოშვება.

წარმოების ზრდასთან ერთად უმჯობესდება საქონლის ხარისხი, უფრო მრავალფეროვანი ხდება საქონლის ასორტიმენტი.

მსუბუქი მრეწველობის სატრიკოტაჟო ფაბრიკები მეორე კვარტალში დაამზადებენ 33 მილიონ წყვილ ჩულქებსა და წინდებს (ზრდა დაახლოვებით 5 მილიონი წყვილით). ტრიკოტაჟის თეთრეულის გამოშვება, გასული წლის იმავე კვარტალთან შედარებით, ერთნახევარჯერ და კიდევ მეტად გაიზრდება.

ფეხსაცმლის ფაბრიკები მოგვცემენ 12,5 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს (ზრდა—ერთი მესამედი).

ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება ბეწვის შუშის წარმოება. იმატებს ხარისხოვანი ჭურჭლის გამოშვებაც (ადს).

ვ. კუიბიშევის კინოაპარატურის ქარხანამ (კინაპი) აითვისა კინოფილმების საკოპირო მანქანების წარმოება. უკვე გამოშვებულია 9 მანქანა. სურათზე:—ქარხნის ზეინკალი ამხ. ვინოგრადოვი ამონტაჟებს მეათე მანქანას.

▽ ▽ ▽

სტრატომატარებელი

მოსკოვი, 1 აპრილი. 1 აპრილს ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ აეროდრომიდან პირველად აფრინდა სტრატომატარებელი, შედგენილი ავიაქიმის სახელობის ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორის ამხ. ა. ა. შჩერბაკოვის სქემის მიხედვით. სტრატომატარებელს უძღვებოდა ორადგილიანი თვითმფრინავი. მას ერთიმეორეზე მიჰყვებოდა გვარლით მიბმული ორი პლანერი: ორადგილიანი და ერთადგილიანი.

სტრატომატარებელმა აეროდრომზე მოახერხა საცდელი გაფრენა და 1500 მეტრი სიმაღლეს მიაღწია. გამოცდამ გვიჩვენა სტრატომატარებლის სიმყარე ჰაერში. 2 აპრილს სტრატომატარებელმა ხელახლა მოახდინა საცდელი გაფრენა. მატარებლის ეკიპაჟს დავალებული ჰქონდა ფრენის დროს შეემოწმებინა საბუქსირო მექანიზმები.

თვითმფრინავს მართავდა მფრინავი დოროვი. მასთან ერთად მიფრინავდა გამომცდელი ამხ. მაღარი. ორადგილიან პლანერზე, რომელიც უშუალოდ თვითმფრინავს მიჰყვებოდა თუკვთით, იმყოფებოდნენ პლანერიზმის ოსტატი ამხ. გუროლოვი და გამომცდელი ამხ. როგატკინი.

ორადგილიანი პლანერით რომელიც მატარებლის ბოლოში მიდიოდა, მიფრინავდა ცნობილი მფრინავი — გამომცდელი ვ. შევჩენკო.

სტრატომატარებელი 40 წუთის განმავლობაში დატრიალებდა დედაქალაქს და თანდათან მიდიოდა მაღლა.

როდესაც სტრატომატარებელი მიფრინავდა ქალ. დმიტროვზე, თვითმფრინავმა უკვე მიაღწია 5 ათასი მეტრის სიმაღლეს, ორადგილიანი პლანერი, რომელიც თვითმფრინავს მიჰყვებოდა, იყო 6 ათასი მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ის პლანერი, რომელსაც ამხ. შევჩენკო მართავდა, ავიდა 7 ათასი მეტრის სიმაღლეზე.

მატარებელი გადაფრინდა დმიტროვს და ერთბაშად გაეხვია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და აიღო კურსი ზვენიგოროდისაკენ.

პირველად მოიხსნა ის პლანერი, რომელსაც ამხ. შევჩენკო მეთაურობდა; ტობ ტროსტინსკიზე თვითმფრინავს მოეხსნა მეორე პლანერი, რომელიც მიჰყავდა ამხ. გუროლოვს.

თვითმფრინავი დაბრუნდა მოსკოვში და უვნებლად დაეშვა ცენტრალურ აეროდრომზე. 20 წუთის შემდეგ იქვე დაეშვა პლანერი, რომელსაც ამხ. გუროლოვი მართავდა. ამხ. შევჩენკო დაეშვა სადგ. კლინის რაიონში.

გაფრენის ყველა მონაწილე თავს კარგად გრძნობს (ადს).

საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ

„1936 წლის მოსავლის თამბაქოსა და წეკოს კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1936 წლის თებერვლის 3-ს გამოცემული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს გეგმა საქართველოს სსრ-ში 1936 წლის მოსავლის თამბაქოს პროდუქციის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციისა კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებთან (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილში) და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებში— 13.094 ტონის რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ასსრ-ში 6.944 ტონა და საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებში — 6.150 ტონა.

2. დასაკონტრაქტებელი პროდუქციის გამოსავლის ამ რაოდენობის უზრუნველსაყოფად დაწესებულ იქნას რგვის გეგმა — 19.400 ჰექტ. რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ასსრ-ში — 11.200 ჰექტ. და საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებში 8.200 ჰექტ. დაწესებულ იქნეს ნედლეულის ჩაბარების (გაყიდვის) სავალდებულო საშუალო რაოდენობა ჰექტარზე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით აფხაზეთის ასსრ-ში — 6,2 ცენტნერი, ხოლო საქართველოს სსრ სხვა რაიონებში — 7,5 ცენტ.

1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმის ფარგლებში განაწილდეს სასიგარო თამბაქოსათვის აფხაზეთის ასსრ-ში — 50 ჰექტარი, ხოლო დასავლეთ საქართველოს მეთამბაქოობის რაიონებში — 20 ჰექტ. (აჭარაში — 10 ჰექტ. და ზუგდიდის რაიონში — 10 ჰექტ.).

3. დამტკიცებულ იქნას თამბაქოს რგვის შემდეგი რაიონობრივი გეგმა, ჩაბარების სავალდებულო ნორმები ჰექტარზე და დასაკონტრაქტებელი პროდუქციის საერთო რაოდენობა სექტორებისა და საქართველოს სსრ მეთამბაქოობის ცალკეული რაიონების მიხედვით (უაფხაზეთოდ) (იხ. ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

რაიონები	დარგვის გეგმა ჰექტარ.			1 ჰექტარზე ჩაბარ. ნორმა ცენტნერობით			დასაკონტრაქტებელი პროდ. ტონობით		
	კოლმეურნ.	ერთპ. მეურნ.	სულ	კოლმეურ.	ერთპიროვ.	სულ	კოლმეურ.	ერთპიროვ.	სულ
1. ლაგოდეხის რაიონ.	29 1,0	829,0	33 0,0	8,81	9,72	8,93	2625,5	321,4	2946,9
2. სიღნაღის რაიონ.	1531,0	44,0	1575,0	7,61	8,49	7,65	1168,[illegible]	86,8	120[illegible],8
3. ყვარლის „	400,0	50,0	450,0	7,94	8,7[illegible]	8,07	317,[illegible]	43,5	[illegible]61,1
4. გურჯაანის „	1[illegible]2,[illegible]	8,[illegible]	200,0	7,19	7,91	7,[illegible]2	13[illegible],0	6,4	141,4
5. ბორჩალოს „	850,0	350,0	1200,0	5,48	6,02	5,[illegible]4	455,8	211,0	676,8
6. ლუქსემბურგის რაიონ.	75,0	90,[illegible]	165,0	5,04	5,5[illegible]	5,32	[illegible]7,8	[illegible]0,0	87,8
7. ზუგდიდის რაიონ.	180,0	40,0	220,0	5,41	5,95	5,52	97,4	24,0	1[illegible]1,4
8. წალენჯიხის რაიონ.	74,0	11,0	[illegible]5,0	5,0[illegible]	5,53	5,10	37,2	6,1	43,3
9. ჩხოროწყუს რაიონ.	91,5	33,5	1[illegible]5,0	4,93	5,46	5,10	45,4	18,3	6[illegible],7
10. ჩობატაურის „	220,0	50,0	280,0	5,01	5,51	[illegible],10	115,2	27,6	1[illegible]
11. აჭარის ასსრ	41[illegible]	1[illegible]9,[illegible]	600,0	5,77	6,35	5,95	[illegible]7,0	1[illegible]0,0	357,[illegible]
სულ	7005,5	1194,5	8200,0	7,54	7,24	7,5	5284,9	865,1	6150,0

4. ნება მიეცეს აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეთამბაქოობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს ამ დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად დაწესებული ჩაბარების საშუალო ნორმის (ჰექტარზე) დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ფარგლებში შესცვალონ ხოლმე, თუ ეს საჭირო იქნება, პროდუქციის ჩაბარების ნორმები (ჰექტარზე) სექტორების მიხედვით; ამასთანავე ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების ჩაბარების ნორმები 10 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილი) — 5 პროცენტით მეტი უნდა იყოს კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, ამ დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად, განსაზღვრონ თამბაქოს დარგვის გეგმა, ჩაბარების ნორმები ერთ ჰექტარზე, და დასაკონტრაქტებელი პროდუქციის რაოდენობა ამ რესპუბლიკის ცალკეული რაიონებისა და სექტორების მიხედვით; ამასთანავე გაითვალისწინონ ჩაბარების საშუალო ნორმები ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობებისათვის 10 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეებისათვის (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილი) — 5 პროცენტით მეტი კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე.

6. დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ (უაფხაზეთოდ) რაიონების კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილი) და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის დასაკონტრაქტებელი თამბაქოს სავალდებულო ასორტიმენტი ცალკეული ბოტანიკური ჯიშებისა, რაც დამუშავებულ უნდა იქნას 5.113 სტანდარტის მიხედვით (იხ. ცხრილი № 2).

ცხრილი № 2

რაიონები	I ხარისხი		II ხარისხი		III ხარისხი		IV ხარისხი		V ხარისხი		სულ	
	ასორტ. ტონ.	%%	ასორტ. ტონ.	%%	ასორტ. ტონ.	%%	ასორტ. ტონ.	%%	ასორტ. ტონ.	%%	ასორტ. ტონ.	%%
„ტრაპეზუნის“ ჯიში												
ლაგოდეხის რაიონი	35.0	1.2	14[illegible].5	4.9	607.1	20.6	1924.5	65.3	235.8	8.0	2946.9	100.0
სიღნაღის „	9.6	0.8	[illegible]8.[illegible]	8.2	168.6	14.0	861.5	71.5	126.	10.5	1204.8	100.0
ყვარლის „	1.1	0.3	4.3	1.2	18.0	5.0	293.6	81.3	44.1	[illegible]2.2	361.1	10[illegible].0
გურჯაანის „	0.3	0.2	1.2	0.8	4.9	3.4	11[illegible].2	82.6	18.8	13.0	144.4	100.0
ბორჩალოს „	0.7	0.1	7	0.4	20.3	3.0	541.4	80.0	111.7	16.5	676.8	100.0
ლუქსემბურგის „	—	—	0.2	0.2	1.3	1.5	71.4	81.3	14.9	17.[illegible]	8[illegible].8	100.0
აჭარის ასსრ	5.2	2.1	17.8	7.1	70.0	28.0	134.5	53.8	22.5	9.0	250.0	100.0
სულ „ტრაპეზუნის“ თესლის ხაზით	51.9	0.9	209.[illegible]	3.7	890.2	15.7	3946.1	69.6	574.3	10.1	5671.8	100.0
„სამსუნის“ თესლი												
ზუგდიდის რაიონი	2.4	2.0	9.7	8.0	41.3	34.[illegible]	5[illegible].3	48.0	9.7	8.0	121.4	100.0
წალენჯიხის „	0.6	1.5	2.6	6.0	11.0	25.5	25.6	59.0	3.5	8.0	43.3	100.0
ჩხოროწყუს „	1.3	2.0	5.	8.0	21.6	34.0	30.6	48.0	5.1	8.0	63.7	100.0
ჩობატაურის „	2.1	.5	8.6	6.0	36.4	25.5	82.9	58.0	12.8	9.0	142.8	100.0
აჭარის ასსრ	3.2	3.0	10.7	10.[illegible]	45.[illegible]	42.0	38.5	36.0	9.6	9.0	107.0	100.0
სულ „სამსუნის“ თესლის ხაზით	9.6	2.0	3[illegible].7	7.7	155.3	32.5	235.9	49.3	40.7	8.5	473.2	100.0
სულ საქართველოში (უაფხაზეთოდ) ორივე ხარისხის ხაზით	[illegible]1.5	1.0	246.0	4.0	1045.5	17.0	182.0	68.0	615.0	10.0	61[illegible]0.0	100.0

7. დაწესებულ იქნას დასაკონტრაქტებელი თამბაქოს შემდეგი სავალდებულო ასორტიმენტი (საშუალო, ბოტანიკური ჯიშების მიხედვით) აფხაზეთის ასსრ-თვის: № 5.113 სტანდარტით — I ხარისხი — 1 პროც., II ხარისხი — 5 პროც., III ხარისხი — 18 პროც., IV ხარისხი — 71 პროც. და V ხარისხი — 5 პროც.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ მეთამბაქოობის ყველა დანარჩენი რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს არა უგვიანეს 1936 წლის აპრილის 1-სა მოახდინონ დასაკონტრაქტებელი თამბაქოს ჩაბარების რაიონობრივი ნორმებისა და ასორტიმენტის დიფერენციაცია ცალკეულ კოლმეურნეობებზე, ხოლო ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობების მიმართ—სასოფლო საბჭოებზე ნიადაგისა და სხვა პირობების მიხედვით, ისე კი, რომ მთლად რაიონში ან ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაკონტრაქტებელი პროდუქცია შეესაბამებოდეს ამა დადგენილების მე-3, 6 და 7 მუხლებით გათვალისწინებულ რაოდენობას და ასორტიმენტს.

9. დაწესებულ იქნას, რომ კოლმეურნეობანი, კოლმეურნენი (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილი) და ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობანი, რომელნიც გადააჭარბებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის 1936 წლის მოსავლიდან თამბაქოს ჩაბარების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გეგმებს, როგორც რაოდენობით, ისე ასორტიმენტის მიხედვით, და აგრეთვე დაკონტრაქტებული თამბაქოს ღირებულების ფარგლებში მიიღებენ პრემია-წანამატს ძირითადი სადამზადებლო ფასზე გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თამბაქოს პროდუქციისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და კ.პ.(ბ) ც. კ-ის 1935 წლის აპრილის 23-ის დადგენილებით დაწესებულ რაოდენობით.

10. დაწესებულ იქნას, რომ კოლმეურნეობანი, რომელნიც მთლად შეასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რაოდენობის ასორტიმენტის და ღირებულების მიხედვით, გამოჰყოფენ, კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილების თანახმად, თავიანთ ზედმეტ თამბაქოდან თამბაქოს ნედლეულის ფონდს სახელმწიფოსათვის მისაყიდად ზეგეგმური ჩაბარების წესით, ხოლო მთელ დანარჩენ ზედმეტ თამბაქოს გაანაწილებენ კოლმეურნეობათა წევრებს შორის შრომა-დღეების მიხედვით.

11. თამბაქოს კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაინიშნოს აპრილის 20.

12. წინადადება მიეცეს „საქთამბაქონედლეულს“ გაითვალისწინოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში დაკონტრაქტებული პროდუქციის ჩაბარების შემდეგი საკალენდარო ვადები:

1936 წლის 15/X — 1/XI-მდე წლიური გეგმის არა ნაკლებ 5%-სა
„ 1/XI — 1/XII-მდე „ „ „ „ 15%-სა
„ 1/XII—1937 წ. 1/I-მდე „ „ „ „ 25%-სა
1937 წ. 1/I — 1/II-მდე „ „ „ „ 25%-სა
„ 1/II — 1/III-მდე „ „ „ „ 20%-სა
„ 1/III—15/III-მდე „ „ „ „ 10%-სა

„აფთამბაქომ“ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში გაითვალისწინოს ჩაბარების თვიური გეგმები, დაწესებული 1935 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმის მიხედვით.

13. კონტრაქტაციის ჩატარება და ფულადი ავანსების მიცემა კონტრაქტანტებისათვის, აგრეთვე აგროსაწარმოო კონტროლის გაწევა დაეკისროს: აფხაზეთის ასსრ-ში „აფთამბაქოს“, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში „საქთამბაქონედლეულს“.

დაევალოს, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დადებულ უნდა იქნას თითოეულ კოლმეურნეობასთან, კოლმეურნესთან (განუსაზოგადოებელი ნარგავის ნაწილი) და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობასთან ცალკე; ამასთანავე, თვითეულ კონტრაქტანტს ხელშეკრულების ჩაბარების დროს აუცილებლად უნდა ჩაბარდეს ადგილობრივ ენაზე დაბეჭდილი საკონტროლო - საკონტრაქტაციო წიგნაკი.

14. თამბაქოს დარგვის მინიმალური ფართობი ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის განისაზღვროს 2.000 კვ. მეტრის რაოდენობით.

15. ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის საშუალო რაოდენობად დაკონტრაქტებულ თითო ტონა პროდუქციაზე დაწესებულ იქნეს: აფხაზეთის ასსრ-თვის 1,700 მანეთი, ხოლო აჭარის ასსრ-ისა და საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებისათვის — 1.000 მან., აქედან „ტრაპეზუნის“ თესლის ბოტანიკური ჯიშისათვის 980 მან. და „სამსუნის“ ჯიშის თესლისათვის 1.237 მან. ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის საერთო თანხა განისაზღვროს 17.955 ათასი მან., აქედან აფხაზეთის ასსრ-თვის 11.805 ათ. მან., ხოლო აჭარის ასსრ-თვის და საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებისათვის 6.150 ათასი მანეთი.

ავანსების გაცემის ვადები დაწესებულ იქნას მეთამბაქოობის ძირითადი საწარმოო პროცესების ჩატარების ვადების შესაბამისად: აფხაზეთის ასსრ-ში ავანსის საერთო რაოდენობის 30 პროც. გაცემულ უნდა იქნას აპრილში სანერგეების გასამზადებლად; 30 პროც. — ივნისში — დასარგავად და გათოხნისათვის და დანარჩენი 40 პროცენტი— ივლის-აგვისტოში მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის; აჭარის ასსრ-ში და საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებში — ავანსის საერთო რაოდენობის 20 პროც. ხელშეკრულებების ხელმოწერისას; 40 პროც. — აპრილ-მაისში სათესლე სანერგეების გასამზადებლად და 40 პროც. ივლის-აგვისტოში — მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის.

16. დაწესებულ იქნას ფულადი ავანსების გაცემის შემდეგი რაოდენობითი ნორმები დაკონტრაქტებულ ტონა პროდუქციაზე სექტორებით და ცალკეული ბოტანიკური ჯიშების მიხედვით საქართველოს (უაფხაზეთოდ) მეთამბაქოობის რაიონებში (იხ. ცხრილი № 3).

ცხრილი № 3

რაიონები	ტრაპეზუნი			სამსუნი			სულ ორივე ხარისხის ხაზით		
	1 ტონ. ავანსის ნორმა მანეთობით		საკონტრაქტ. ავანსის საერთო ჯამი	1 ტონ. ავანსის ნორმა მანეთობით		საკონტრაქტ. ავანსის საერთო ჯამი	1 ტონ. ავანსის ნორმა მანეთობით		საკონტრაქტ. ავანსის საერთო ჯამი
	კოლმეურნ.	ერთპ. მეურნ.		კოლმეურნ.	ერთპ. მეურნ.		კოლმეურნ.	ერთპ. მეურნ.	
1. ლაგოდეხის რ.	1005	773	2888.0	—	—	—	1005	773	[illegible]888.0
2. სიღნაღის „	987	759	11[illegible]0.0	—	—	—	9[illegible]7	7[illegible]9	11[illegible].8
3. ყვარლის „	10[illegible]7	775	353.9	—	—	—	1007	775	353.9
4. გურჯაანის „	989	761	141.5	—	—	—	989	761	141.5
5. ბორჩალოს „	1056	812	[illegible]63.2	—	—	—	1056	812	6[illegible]3.2
6. ლუქსემბურგის	1128	868	86.0	—	—	—	1[illegible]28	868	86.0
7. ზუგდიდის „	—	—	—	1293	997	150.3	1296	997	1[illegible]0.3
8. წალენჯიხის „	—	—	—	1278	98[illegible]	5[illegible].5	1278	98	[illegible]3.5
9. ჩხოროწყუს „	—	—	—	1325	1019	8.3	1325	1019	78.9
10. ჩობატაურის „	—	—	—	1293	99[illegible]	17[illegible].6	12[illegible]3	995	176.6
11. აჭარის ასსრ	10[illegible]2	[illegible]17	245.0	1940	1061	132.3	114[illegible]	881	377.3
სულ საქართველოში (უაფხაზეთოდ)	1011	778	5553.4	1308	1006	591.6	1031	807	61[illegible]0.0

17. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააწესონ სექტორებში ფულადი ავანსების გაცემის რაიონობრივი ნორმები; ამასთანავე, ამა დადგენილების მე-16 მუხლის შესაბამისად ფულადი ავანსი უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს 30 პროცენტით მეტი, ხოლო კოლმეურნეებს (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილში) 15 პროცენტით მეტი, ვიდრე ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს.

18. დაევალოს „აფთამბაქოს“ და „საქთამბაქონედლეულს“ სისტემატიურად შეამოწმონ კონტრაქტანტების მიერ საწარმოო პროცესების შესრულება დაწესებული აგროწესების შესაბამისად.

19. მეთამბაქოობის აგრო-საწარმოო მომსახურება ყველა სექტორების ხაზით და მთელი პასუხისმგებლობა თესვის, დარგვის, მოსავლის აღების, დამუშავებისა და ნედლეულის ჩასაბარებლად გამზადების გეგმის შესრულებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

20. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „საქთამბაქონედლეულს“ ახალი სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება საკოლმეურნეო კადრების და აგროპერსონალის გადასამზადებლად.

ვინაიდან საქართველოს სსრ მეთამბაქოობის რაიონებში მიმდინარე წელს შემოღებული ახალი ხარისხობრივი უფრო მაღალი სტანდარტი № 5113 მოითხოვს თამბაქოს დამუშავების გაუმჯობესებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აკისრებენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სარაიონო მიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და მეთამბაქოობის რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს — უზრუნველყონ 1936 წ. მეთამბაქოობის რაიონების მოწინავე მეთამბაქოეთა მუშაობის მეთოდებისა და მაგალითების ფართოდ გამოყენება და აგროტექნიკისა, თამბაქოს პლანტაციების მოვლისა და თამბაქოს დამუშავების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების საფუძველზე მიაღწიონ 1936 წელს თამბაქოს მოსავლიანობის უფრო მეტად გადიდებას და ხარისხის წარმატებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **ბუდუ მდივანი**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ბაქრაძე**

1936 წ. მარტის 25
№ 307 ტფილისი.

◇ ◇ ◇

ახალგაზრდა სტახანოველთა შეკრება

საბჭოთა საქართველოს დღეგრძელის დაჯილდოვებასთან და ჭიათურელი სტახანოველის ამხ. ვასილ ხამხარაძის მიერ სტალინისათვის მიცემულ სიტყვასთან დაკავშირებით ჭიათურაში შესდგა ახალგაზრდა სტახანოველთა შეკრება.

შეკრებას დაესწრნენ რაიონის მთელი კომკავშირელი და კავშირგარეშე სტახანოველები.

ჭიათურის მარგანეცის მაღაროებმა ბევრი ახალი ადამიანი აღზარდეს. მათ შორის აღსანიშნავია საკავშირო მთავრობის მიერ ლენინის ორდენით დაჯილდოებული ამხ. ვასილ ხამხარაძე. აგრეთვე სტახანოველები ტრიფონ ფუტკარაძე, შურა ხამხარაძე, უშანგი მაჭავარიანი, ვახტანგ ჩიჩინაძე და სხვა ადამიანები ნორმით გათვალისწინებულ 8 ტონა მარგანეცის ამოღებას 6—8 ჯერ აჭარბებენ.

დღეს ჭიათურის ახალგაზრდობას 189 კომკავშირელი სტახანოველი და 140 კავშირგარეშე მუდმივი სტახანოველი ჰყავს.

ახალგაზრდა სტახანოველთა შეკრებამ იკისრა ვალდებულება კიდევ უფრო გააძლიეროს სტახანოვური მოძრაობა მაღაროებში და ქარხნებში. ჩამოყალიბდეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა უმნიშვნელოვანესი ნაწერების შემსწავლელი, ლიტერატურული, ფიზკულტურის და სხვ. წრეები, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს ახალგაზრდობის იდეურ-თეორიული დონე.

ტექნიკურ სწავლებაში ჩაბმულ ახალგაზრდობიდან 182 კაცმა ტექნიკური წრე დაასრულა ფრიადზე, 165-მა—კარგზე, 167-მა—დამაკმაყოფილებელზე. აღსანიშნავია, რომ [illegible] კომკავშირელები შრომის ნაყოფიერების განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან.

შეკრებამ აგრეთვე იკისრა მარგანეცის ყველა საწარმოში მოაწყოს გეოგრაფიის და მათემატიკის შემსწავლელი წრეები სტახანოველთათვის, რუსული ენის შემსწავლელი წრე ლენინის, სტალინის, ბერიას სახელობის მაღაროებსა და მექანიკურ სახელოსნოში. ფიზკულტურის მოედანი ლენინის, სტალინის, ბერიას, კაგანოვიჩის, ტელმანის და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში.

შეკრებამ აპრილის პირველი დეკადა გამოაცხადა საქ. ა.ლ.კ.კ. მე-10 ყრილობის სახელობის სტახანოვურ დეკადად და გამარჯვების პირობა მისცა საქართველოს ახალგაზრდობას.

დასასრულ, შეკრებამ მიმართვით მიმართა საქართველოს მთელ მუშურ ახალგაზრდობას.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის წინ

დახმარების შედეგად

პარტდოკუმენტების შემოწმების შედეგად მე-6 ქართული ლეგიონის პარტორგანიზაციაში პარტბილეთი ჩამოერთვა 3 კაცს, ხოლო 6 კომუნისტს მიეცა გაფრთხილება მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში ჩამორჩენისა და თავისთავზე ცუდად მუშაობისათვის:

ამ გაკვეთილიდან ლეგიონის პარტბიურომ სერიოზული დასკვნა გამოიტანა. პარტდოკუმენტების შემოწმების დამთავრების შემდეგ პარტბიურომ გულდასმით შეამოწმა თვითეული კომუნისტის მომზადების დონე, პარტდავალებების შესრულების მდგომარეობა და ცალკე კომუნისტების მონაწილეობა ორგანიზაციულ - პარტიულ მუშაობაში.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა იქნა გაწეული იმ ამხანაგებისათვის დასახმარებლად, რომლებსაც პარტდოკუმენტების შემოწმების დროს მიცემული ჰქონდათ შენიშვნა. ეს ამხანაგები აყვანილ იქნენ პარტბიუროს განსაკუთრებული მეთვალყურეობის და მზრუნველობის ქვეშ. შენიშვნამიცემულებს მიამაგრეს ძლიერი კომუნისტები ყოველდღიურ მეცადინეობასა და თავისთავზე მუშაობაში დახმარების გასაწევად.

ამ ღონისძიებებმა კარგი შედეგი გამოიღო.

აი, მაგალითად ლეგიონის სკოლის უნცროსი მეთაური ვარლამ მეტრეველი. წინათ ეს ამხანაგი მეცადინეობაზე მოუმზადებელი მოდიოდა, არც კონსპექტების შედგენას აქცევდა ყურადღებას და არც მითითებულ ლიტერატურით სარგებლობას.

როდესაც მეტრეველს ეკითხებოდნენ, რატომ ჩამორჩენილხარო, თავს ყოველთვის ასე „იმართლებდა".

— დრო არა მაქვს. განწესებაში ხშირად გავდივარ და ვერ ვასწრებ.

ახლა მეტრეველი სრულიად გამოიცვალა. განსაკუთრებით ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგთა დამუშავების შემდეგ დაეტყო მას აქტიობა და მონდომება. ახლა მეტრეველი მეცადინეობაზე მოდის შერჩეული ლიტერატურით, გულდასმით დამუშავებული კონსპექტით.

კიდევ უფრო მეტ ინიციატივას იჩენს მეტრეველი საბრძოლო მომზადებაში.

ასევე სანიმუშოდ დაწინაურდა უფროსი ლეიტენანტი ამხ. ჩინჩალაძე. მას მარქსისტულ-ლენინურ მომზადებასა და თავის თავზე ცუდად მუშაობისათვის მითითება ჰქონდა მიცემული როგორც პარტდოკუმენტების შემოწმებისას, ისე შემდეგაც ლეგიონის პარტბიუროს მიერ.

ახლახან პარტდოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით ამხ. ჩინჩალაძე შეამოწმა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ონიანმა.

გამოირკვა, რომ წინათ პოლიტცოდნაში ჩამორჩენილი ჩინჩალაძე მშვენივრად ერკვევა საერთაშორისო საკითხებში, ფრიადზე მეცადინეობს პარტისტორიის შემსწავლელ წრეში და ჩინებულად იცის პარტიის წესდება-პროგრამა.

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში წარმატებით ასწორებენ ჩამორჩენას შენიშვნამიცემული ამხანაგები — ნიკოლოზ გვენცაძე, ვასილ ჯინჭარაძე, ივანე გოგოლაძე, ვასილ ხუციშვილი და სხვები.

ამ მოწინავეების გვერდით, რომლებიც პარტდოკუმენტების გამოცვლას ბოლშევიკური მაჩვენებლებით ხვდებიან, არიან ჩამორჩენილებიც, პასიურებიც.

პირველ რიგში ეს უნდა ითქვას არშაკ ბარსეღიანის შესახებ, რომელიც დღემდე არ იძლევა პასიური მდგომარეობიდან თავდაღწევის არავითარ ნიშნებს. მიუხედავად განუწყვეტელი ამხანაგური დახმარებისა და მთელი რიგი აღმზრდელობითი ზომებისა, ბარსეღიანი არ ასრულებს თითქმის არავითარ პარტიულ დავალებებს. წრეებში მეცადინეობისას მას ამთქნარებს, ეძინება.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ბარსეღიანი ვერ ამართლებს პარტიის წევრის მაღალ სახელწოდებას.

დაახლოვებით ასევე ჩამორჩენილი იყო საბრძოლო და პოლიტმომზადებაში ვასილ წიკლაურიც. უკანასკნელად ამხანაგი წიკლაური იძლევა გამოსწორების ნიშნებს. მას უწევენ ყოველგვარ დახმარებას.

საერთოდ ლეგიონის პარტორგანიზაცია სანიმუშოდ მომზადებული ხვდება პარტდოკუმენტების გამოცვლას, რომელიც აქ დაიწყება აპრილის პირველ რიცხვებიდან.

ამ რამდენიმე დღის წინ ლეგიონის პარტიულ ორგანიზაციის კრებაზე კომუნისტებმა იკისრეს ვალდებულება პარტდოკუმენტების გამოცვლას შეხვდნენ სანიმუშო მომზადებით პოლიტიკურ - საბრძოლო მომზადებაში და აგრეთვე დაეხმარონ ჩამორჩენილებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

ამ ვალდებულებას მთელი პარტორგანიზაცია ბოლშევიკურად ანაღდებს.

ა. ჭ.

◇ ◇ ◇

ემზადებიან პარტდოკუმენტთა გამოცვლისათვის

საქ. კპ. (ბ) ტფილისის რაიკომმა 31 მარტს სპეციალური პლენუმი ჩაატარა პარტდოკუმენტების გამოცვლის საკითხზე. პარტდოკუმენტების გამოცვლისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობისა და უახლოესი ამოცანების შესახებ პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. გ. ლომიძის მოხსენება.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტკომის მდივნებმა, პარტორგებმა, რაიკომის ინსტრუქტორებმა, პარტორგანიზაციებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა და სხვ. დაახლოვებით 20 კაცმა. პლენუმი მიმდინარეობდა გაცხოველებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ნიშნის ქვეშ.

როგორც მომხსენებელი, ისე მოკამათე ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ პარტდოკუმენტების შემოწმების დროს პარტია გაიწმინდა მისთვის უცხო ელემენტებისაგან. დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების განვლილი პერიოდის განმავლობაში წესრიგში მოყვანილ იქნა „პარტიული მეურნეობა". გაუმჯობესდა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმე და პარტკრებების ხარისხი. მიუხედავად ამისა, ადგილებზე ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ხასიათის ნაკლი [illegible] პარტიული მუშაობის ცალკეულ დარგებში, რომლებზედაც დამოკიდებულია პარტდოკუმენტების გამოცვლის წარმატებით ჩატარება.

მაგალითად, ზოგიერთმა ორგანიზაციამ (ავჭალის შუშის ქარხანა, მეხრანის საბჭოთა მეურნეობის), დაივიწყა თანაგრძნობთა შორის მუშაობა. ავჭალის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი წამალაშვილი უმტკიცებდა რაიკომს, თანაგრძნობთა ჯგუფში მისაღები ადამიანები არ მოიპოვება კოლმეურნეობაში. მაგრამ ნამდვილად სულ საწინააღმდეგო რამ გამოირკვა. მიწსახკომის № 1 საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციამ თანაგრძნობებს დასახმარებლად ისევ თანაგრძნობი მიამაგრა.

ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ (სოღანლუღის გიგანტის საბჭოთა მეურნეობის, თილის ტერიტორიულმა და სხვ.), ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ზოგადობას. მათი კრების დადგენილებებში არ არის კონკრეტულობა. წეროვანის ტერიტორიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში ხშირად იშლება მეცადინეობა.

პლენუმის დასასრულს სიტყვით გამოვიდა რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. ლეკიშვილი. ამხ. ლეკიშვილმა მწვავედ გააკრიტიკა ცალკეულ პარტორგანიზაციების მუშაობა, განსაკუთრებით პარტდოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებასთან დაკავშირებით. პლენუმმა მიიღო მომავალი მუშაობის პრაქტიკული ღონისძიება.

გრ. ხურცილავა

პასიური კომუნისტები გააქტიურდნენ

პარტიული დოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით ცაგერის რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში მოეწყო პარტიული დღეები. დამუშავდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

22 თებერვალს შესდგა პირველადი პარტორგანიზაციების ორგანიზატორთა, რაიკომის ინსტრუქტორებისა და პარტდოკუმენტების შემოწმების გამოვლინებულ პარტკადრების რეზერვის თათბირი პარტაქტივთან ერთად. თათბირზე რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ჭელიძემ საფუძვლიანად დამუშავა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია პარტდოკუმენტების გამოცვლის შესახებ.

პარტიის რაიკომმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი პირველადს პარტორგანიზაციაში პასიური და ჩამორჩენილი კომუნისტების გამოვლინებას, რათა ისინი აქტიურად იქნენ ჩაბმული პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. გამოაშკარავდა, რომ ცალკეული კომუნისტების პასივობისა და უმოქმედობის მიზეზია მათი პოლიტიკური და საერთო მომზადების ძლიერ დაბალი დონე. პარტიის წევრთა პოლიტიკური უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის აღმოფხვრისათვის რაიკომმა გაატარა საჭირო ღონისძიებანი, გამოავლინა წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე კომუნისტები. აღმოჩნდა, რომ რაიონში სულ 93 მცირემცოდნე და ორი წ.-კ. უცოდინარი კომუნისტია. პირველადს პარტორგანიზაციებთან მათთვის მოეწყო მცირემცოდნეობის ალიკვიდაციო სკოლები და ჯგუფები.

გარდა ამისა, რაიკომის ინსტრუქტორები სისტემატიურად ატარებენ საუბრებს ჩამორჩენილ კომუნისტებთან, უმარტავენ მათ საკ. კ. პ. (ბ) წესდებას და აძლევენ პრაქტიკულ დავალებებს.

პირველადი პარტორგანიზაციები ახლა ხშირად ისმენენ ჩამორჩენილი და პასიური კომუნისტების თვითანგარიშებს (ნაკურალეშის, ზემო-ლეირის, ქვემოლეირის, ბარდნალის, საირმის, ლაილაშის, ოყურეშის და სხვ.) რომელთაც ეძლევათ პრაქტიკული მითითებანი და ეწევათ დახმარება.

მთელ რიგ პარტორგანიზაციებში ჩამორჩენილ კომუნისტებთან მუშაობის გაჩაღებამ უკვე გამოიღო დადებითი შედეგი. სოფელ ნაკურალეშის საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის წევრი რაჟდენ ყურაშვილი გასულ წელში თავს არიდებდა კრებებს და პოლიტმეცადინეობებს, იგი 5-6 თვის პარტსაწევროს ხშირად ერთად იხდიდა, მუდამ ჩამორჩენილი იყო სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა მოხდის საქმეში. პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს რაიკომმა მას სათანადო დარიგება მისცა და საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის კომიტეტს მოუთითა ყურაშვილთან სისტემატიური მუშაობა ეწარმოებინა და გაეწია საჭირო დახმარება. ორგანიზაციამ კრებაზეც მოისმინა რაჟდენის თვით ანგარიში, მიუთითა თავი დაეღწია პასივობისათვის და მისცა პრაქტიკული დავალებები. რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. გუგავამაც იმუშავა მასთან. დაეხმარა მას და ჩააბა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. ამის შედეგად რაჟდენ ყურაშვილი გამოსწორდა, იგი აქტიური გახდა. ახლა იგი გამოყოფილია კოლმეურნეობის ერთ-ერთი ბრიგადის პარტორგად.

პარტიის ჩამორჩენილ და პასიურ წევრთა გააქტიურების ფაქტები შეიძლება დავასახელოთ სხვა ადგილებიდანაც. მაგალითად: პარტიის წევრები ვალიკო ნემსიწვერიძე (სოფელ ბარდნალის პირველადი პარტორგანიზაცია), დავით ჩხეტიანი (ქვემო ლეირიში), ალექსი გურგუჩიანი (ორბელი), პლატონ გუგავა (უსახელო) პარტდოკუმენტების შემოწმების პროცესში გამოვლინებულ იქნენ როგორც პასიურები. მათ რაიკომმა გაფრთხილება მისცა. მას შემდეგ, რაც მათ დაეხმარნენ თავიანთი პირველადი პარტორგანიზაციები და რაიკომის ინსტრუქტორები, ისინი გამოსწორდნენ და დღეს აქტიურად მონაწილეობენ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადება ცაგერის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს და ადგილებს მეტი კონკრეტულ-ოპერატიული დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს.

ბ. ჟურაშვილი.

◇ ◇ ◇ ◇ ◇

სანიმუშო პარტიული დღე

ორი თვეა მას შემდეგ, რაც გეიმბალაურის (ლანჩხუთის რაიონი) საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის ორგანიზატორად ამირჩიეს.

პარტიის რაიკომმა პარტიული დოკუმენტების შემოწმების პერიოდში ბევრი ახალი კადრები გამოავლინა და წამოაყენა საპასუხისმგებლო სამუშაოზე. მეც ერთი მათგანი ვარ.

მე მინდა გადმოგცეთ, თუ როგორ ემზადება გეიმბალაურის პირველადი პარტორგანიზაცია პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის და როგორ ჩავატარეთ სანიმუშო პარტდღე, მიძღვნილი პარტიული დოკუმენტების გამოცვლის საკითხებისადმი.

14 მარტს დილით ჩემთან მოვიდა რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ვ. ქარსელაძე და განმიცხადა, 16 მარტს თქვენს ორგანიზაციაში სანიმუშო პარტიული დღე უნდა ჩავატაროთო. ამხ. ქარსელაძემ თან მოიტანა რაიკომის ბიუროს დადგენილება და დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორი წესით უნდა მომზადებულიყო პარტიული დღე. მან ინსტრუქტაჟი გამიწია. იმავე დღეს შევატყობინე ჩვენი ორგანიზაციის ყველა კომუნისტს პარტიული კრების მოწვევის შესახებ და შევუდექი მზადებას.

16 მარტს, საღამოს 7 საათზე, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის კრებაც გაიხსნა. კრებას ყველა კომუნისტი ესწრებოდა. მათ გარდა ჩვენი ორგანიზაციის სანიმუშო პარტიულ დღეს დაესწრო 12 პირველადი პარტორგანიზაციის ორგანიზატორი და პარტორგანიზაციაზე მიმაგრებული 10 ამხანაგი. ჩემი მოხსენება დაახლოვებით 1 საათს გაგრძელდა. იყო შეკითხვები. კამათში გამოვიდა ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრი და კანდიდატი. კრებამ 3 საათს გასტანა.

აქვე მინდა გადმოგცეთ ის გამოცდილება, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მზადების საქმეში აქვს. პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებას საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავების შემდეგ შევუდექით. ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებანი ჩვენს ორგანიზაციაში 19 იანვარს დამუშავდა. პარტიული დოკუმენტების შემოწმებამდე არ გვქონდა სამუშაო ოთახი და პარტიული დოკუმენტების შესანახი ყუთი. პარტიული კრების მოწვევა გვიხდებოდა სხვადასხვა ადგილას. ახლა ჩვენს ორგანიზაციას აქვს სამუშაო ოთახიც და დოკუმენტების შესანახი ყუთიც.

წინათ პოლიტმეცადინეობა ხშირად იშლებოდა, კომუნისტები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული თავიანთი ცოდნის ამაღლებით. უკანასკნელ დროს პოლიტმეცადინეობა არცერთხელ არ ჩაშლილა. მეცადინეობას თვეში 5-ჯერ ვატარებთ. პირველ ხანებში პოლიტმეცადინეობას ორჯერ დააკლდა პარტწევრი ამხ. ბენია ხოფერია, მაგრამ როდესაც მას მივუთითეთ, სისტემატიურად დაიწყო სიარული, ხშირად აკლდებოდა აგრეთვე პარტკანდიდატი ილიტა ხოფერია. მან 4-ჯერ გააცდინა მეცადინეობა. ჩვენ მას მივეცით გაფრთხილება და ავუხსენით, რომ თუ არ იმუშავებდა თავისი ცოდნის დონის ამაღლებისათვის, დოკუმენტების გამოცვლის დროს მას პარტიულ ბილეთს არ მისცემდნენ. ახლა ილიტა ხოფერია გამოსწორდა.

ჩვენმა ორგანიზაციამ გამოიტანა დადგენილება, რომ ყველა წევრს და კანდიდატს თავის ოჯახში მოეწყო პატარა ბიბლიოთეკა. დადგენილების შესრულება შევამოწმე. გამოირკვა, რომ 4 კომუნისტს უკვე მოწყობილი აქვს. მაგ. ბენია ხოფერიას აქვს პატარა ბიბლიოთეკა 105. ცალი წიგნით, ასევე ალფესი იმნაძეს და სხვ. ის წიგნები უმთავრესად პარტიული დოკუმენტების შემოწმების შემდეგ შეიძინეს. გაზეთ „კომუნისტს" და რაიონულ გაზეთს „დამკვრელ კოლმეურნეს" ყველა კომუნისტი იწერს და კითხულობს.

ყოველ 5 დღეში ვამოწმებ რა წერილი წაიკითხეს ამხანაგებმა გაზეთებში და როგორ გაერკვნენ, ვეხმარები საკითხის გარკვევაში. როდესაც ჩვენს ორგანიზაციაში მუშავდებოდა ამხ. სტალინის სიტყვა სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე, კომუნისტებმა აიღეს ვალდებულება, რომ უახლოეს ხანში გახდებოდნენ სტახანოველები. სანიმუშო პარტიული დღის ჩატარებასთან დაკავშირებით ჩვენ შევამოწმეთ, თუ როგორ შეასრულეს მათ აღებული ვალდებულება. გამოირკვა, რომ მათ ეს დავალება პირნათლად შეასრულეს. მოვიყვან მაგალითს. პარტწევრი ალფესი იმნაძე გამომუშავების ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს. 2 მარტს მან, ნორმით გათვალისწინებული 2000 მეტრის ნაცვლად მოხნა 2500, 3 მარტს — 2900, 4 მარტს — 3100, 5 მარტს — 3150 მეტრი, ახლა ის ყოველდღიურ დავალებას 200 პროც. ასრულებს. კიდევ უფრო კარგ შედეგებს იძლევიან პარმენ იმნაძე და ბენია ხოფერია მე თვითონ ვითვლები სტახანოველად და დღიურ დავალებას 200-250 პროც. ვასრულებ.

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია მომზადებულად ხვდება პარტიული დოკუმენტების გამოცვლას. პირველ ხანებში მე მიჭირდა მუშაობა, მაგრამ როდესაც დაბეჯითებით დავიწყე საკუთარ თავზე მეცადინეობა, ახლა მუშაობა აღარ მიჭირს და ვცდილობ კიდევ უფრო კარგად დავეუფლო პარტიული მუშაობის ტექნიკას.

დარიკო ფაცურია

გეიმბალაურის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ორგანიზატორი

პროფ. კლ. შუშანია

უტკივარი მშობიარობის საკითხი

ტექნიკა, ხელოვნება, მეცნიერება და კერძოდ მედიცინა ძველად მდიდრებს უკმევდა გუნდრუკს, ბურჟუაზია მათ იყენებდა საკუთარი განცხრომის, ბედნიერებისა და არსებობის განსამტკიცებლად, მედიცინის მიღწევებით მხოლოდ შეძლებულები სარგებლობდნენ, მდიდართა კლასს შეეძლო სისტემატიური მკურნალობა და ექიმის დაკვირვების ქვეშ ყოფნა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გაანადგურა მუქთახორათა ბაიკი, ისპობა კაპიტალისტური წყობილების ნაშთები აღიზარდა ახალი ხალხი, ახალი მოთხოვნილებით და აზროვნებით.

საექიმო დარგს, ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგებს, ჩვენ მშრომელთა კოლექტივში საკმაოდ დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს. დიდი სტალინი გვასწავლის, რომ ადამიანი ყოველგვარ კაპიტალზე უფრო ძვირფასია. ბელადის სიტყვები მედიცინის დარგის მუშაკებს ბევრ რასმე გვავალებს; უნდა უკეთ ვიზრუნოთ ამ ძვირფასი განძისათვის, — ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ჩვენი ცხოვრება სასიხარულო და საამური გახდა, საამური ცხოვრების დროს კი, არ უნდა არსებობდეს ფიზიკური ტანჯვა და ტკივილები. ჩვენი სურვილია — საბჭოთა ქვეყნის ქალი უტკივრად ჰბადებდეს მოქალაქეებს ჩვენი სოციალისტური ქვეყნისთვის. მშობიარობის პროცესიდან უნდა აღმოიფხვრას ტკივილის შეგრძნება და უნდა დარჩეს მხოლოდ ბავშვისადმი დედური, მშობლიური სიყვარული. საბჭოთა ქვეყნის დედას არ ეშინია, რომ მისი შვილი ულუკმაპუროდ, უმუშევარი დარჩება. საბჭოთა ქვეყნის დედას არ უნდა ეშინოდეს, რომ ის მშობიარობის დროს უძლიერეს, დაუვიწყარ ტკივილებს განიცდის. დიდის შეგნება, რომ ჩვენში მშობიარობა უტკივარი იქნება, შვილისათვის კი სწავლა-განათლება და სამუშაო უზრუნველყოფილია, მოგვცემს აბორტთა რიცხვის კიდევ უფრო სწრაფ შემცირებას და მშობიარობის დიდ მატებას.

საბჭოთა მედიცინას და კერძოდ დედათა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტებს მიზნად დასახული აქვთ მოსპონ ქალის ბიოლოგიურ თავისებურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი უსიამოვნო მოვლენა და მწარე ტკივილები. მშობიარობის უტკივრად და გაურთულებლად ჩატარებით. საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ცენტრში, ამ ბოლო ხანს რაიონებშიაც კი დაისვა მშობიარობის უტკივრად ჩატარების საკითხი. ამ მხრივ მოკლე ხნის განმავლობაში საკმაოდ ბევრი გაკეთდა. საქართველოში ტფილისის კლინიკები მოწინავე შეიქმნენ. რუსეთში უტკივარ მშობიარობას მასობრივი ხასიათი ეძლევა. სვერდლოვსკის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერულმა ხელმძღვანელმა ა. ლურიემ ამ საქმისათვის უდიდესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღო.

შეძლებული კლასები დიდი ხანია ცდილობდნენ უტკივარი მშობიარობა მათთვის ერთერთ სასიამოვნო მოვლენად გაეხადნათ, რისთვისაც მრავალ სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ. მათ შორის ყველაზე უფრო აღსანიშნავია ქლოროფორმის ხმარება, იგი 1831 წ. იქნა აღმოჩენილი და 1855 წელს პირველად იხმარეს ინგლისის დედოფლისათვის მშობიარობის ტკივილების შესამსუბუქებლად.

დღეს უტკივარი მშობიარობის საშუალებანი სხვადასხვანაირია: ინჰალაციური, სასუნთქებელი, დასალევი, კანქვეშ გასაკეთებელი, სისხლში შესაყვანი, [illegible] სახმარი, რექტალური [illegible] მოქმედი და სხვა. ყველა ამ საშუალებას მეან-გინეკოლოგები უყენებენ მთელ რიგ მოთხოვნებს: ნარკოტიკულმა საშუალებამ უნდა გამოიწვიოს ტკივილების შესუსტება და მოსპობა, ამავე დროს არ უნდა შეაფერხოს მშობიარობის სვლა, არ ავნოს დედის ორგანიზმს, არ ავნოს ნაყოფს, ლოგინობის ხანამ ჩაიაროს ნორმალურად და სხვა. სასურველია ნარკოტიკული საშუალება მოქმედებდეს ხანგრძლივად მთელი მშობიარობის პროცესის დროს.

მშობიარობის ტკივილები დაკავშირებულია საშვილოსნოს შეკუმშვასთან, საშვილოსნოს ტანის კუნთები ბოჭკოები ხშირად იწევენ, იკუმშებიან, ზევით ეწევიან საშვილოსნოს ქვედა უმოქმედო პასიურ ნაწილს — საშვილოსნოს ყელს და თანაც ექსცენტრიულად შლიან მას. ყველაზე უფრო მტკივნეულია საშვილოსნოს ყელის გაშლის უკანასკნელი ხანა და ბავშვის გამოძევება, მეანის დახმარებაც ყველაზე უფრო ამ დროისათვის არის საჭირო.

[illegible] კლინიკაში საკმაო ხნის დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ თუ ნარკოზმა გამოიწვია მშობიარის სრული ამნეზია, მაშინ მშობიარობა ან შეჩერდება, ან პირიქით ისეთი სწრაფი ტემპით მიდის წინ, რომ უცბად არათანდათანობით, მოუმზადებლად ეჭიმება რბილ ნაწილებს და იწვევს შორისის ღრმა დაზიანებას. აგრეთვე რექტალური ნარკოზი სითხის სახით არადამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია, ტექნიკური მიზეზის გამო ნარკოზი სწორ ნაწლავში არ ჩერდება.

უტკივარი მშობიარობისათვის იხმარება მრავალი სხვადასხვა გვარის ნარკოტიკული საშუალება, მიმართავენ ბოლოს აგრეთვე ჰიპნოზსაც. ნარკოტიკულ ნივთიერებათა შორის უნდა აღინიშნოს: ქლოროფორმი, ეთერი, მამხიარულებელი გაზი (აზოტის ქვეჟანგი), ქლორეთილი, სკოპოლამინ — მორფიუმი, სკოპოლამინ-მორფიუმით გამოწვეული თვლემითი ძილი, რომელიც გაუსის და კრენიგის მიერ არის დამუშავებული, რექტიდონი, პერნოქტონი, ნოვოკაინი, მაგნეზიუმ სულფატის ხსნარი და სხვა. აგრეთვე ამ ბოლო ხანს ზოგი უცხო ავტორი უტკივარ მშობიარობას აღწევენ უმარილო დიეტით. მშობიარობის დაწყებამდე 2 კვირით ადრე ორსულ ქალს არ ვაძლევთ საკვებში სუფრის მარილს. ამ მხრივ ჯერ, რამდენადაც ვიცით, ხანგრძლივი დაკვირვება არც ჩვენ, არც სხვას არ აქვს.

უტკივარი მშობიარობისათვის საბჭოთა კავშირის ფარმაკოლოგებმა უნდა მოგვცენ კიდევ უფრო უკეთესი საშუალებანი, კლინიცისტებმა კი მისი ხმარების ტექნიკა უნდა გააუმჯობესონ.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას იმის შესახებ, რომ ტფილისში არსებული სამეანო-გინეკოლოგიური საწოლები ვერ აკმაყოფილებენ რიცხობრივ მოთხოვნილებას. მაგალითისათვის მოვიყვანთ ქალაქის პირველ საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებებს. ის, ვინც უწინ შინ მშობიარობდა ახლა სამშობიარო განყოფილებაში მიდის, ყოველგვარ წარმატებასთან ერთად აქ უტკივარი მშობიარობაც არის. ამიტომ საწოლები აღარ ჰყოფნის, განყოფილებები ძალიან გადატვირთულია. ეს გარემოება გვაკარნახებს, რომ ტფილისის საბჭოს ჯანგანყოფილების და მისი დედათა და ბავშვთა დაცვის სამმართველოს გადაწყვეტილება ტფილისში სამშობიარო სახლის აგების შესახებ უნდა უსათუოდ განხორციელდეს.

აკ. თათარიშვილი

საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ქართულ ლიტერატურაში*)

ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანო „პრავდაში" ხელოვნების საკითხებზე მთელი რიგი წერილების გამოქვეყნება ნიშნავს ჩვენი ხელოვნების და ლიტერატურის ზრდის კარდინალურ საკითხების დაყენებას. მშრომელი მასების კულტურულ დონის ზრდამ საბჭოთა ლიტერატურას წაუყენა ახალი გაძლიერებული მოთხოვნილება. მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაუგონარი ტემპით იშლება ძლევამოსილი სტახანოვური მოძრაობა, ჩვენ არ შეგვიძლია განვაგრძოთ სოციალისტური მშენებლობის ტემპებიდან ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენა. ახლა უკვე დროა საქმით დაიწყოს ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია. ჩვენ გვჭირდება ღრმა სადა, ხალხისათვის მისაწვდომი და დამაჯერებელი ლიტერატურა, ჩვენი კლასის იდეებით გაჟღენთილი, ჩვენი ქვეყნის გმირული ადამიანების მუშაობის ამსახველი.

საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების ამ ზრდის უზრუნველყოფა შესაძლებელია ყოველგვარი მავნე ტენდენციების წინააღმდეგ დაუზოგველი ბრძოლის საშუალებით.

ისტორიულად ფორმალიზმი როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა აღმოცენდა კაპიტალიზმის გახრწნის და ლპობის ეპოქაში, როდესაც ხელოვნებისათვის გარეშე მსოფლიოს კონკრეტულმა სინამდვილემ დაჰკარგა ყოველგვარი ესთეტიკური მნიშვნელობა. ფორმალიზმი როგორც ლიტერატურული სკოლა, როგორც შემოქმედებითი მეთოდი ხელოვნებაში, წარმოადგენს ამ კლასის იდეოლოგიას. ამიტომ ის პროლეტარიატისათვის უცხოა და მიუღებელი. ფორმალიზმს უკან იმალება მწერლის გათიშვა ჩვენი სოციალისტურ სინამდვილიდან, ხალხის ცხოვრებიდან. მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში ბრწყინვალედ გაიმარჯვა სოციალიზმმა, ჩვენს ლიტერატურაში ფორმალისტურ მიმდინარეობას არ გააჩნია მტკიცე და საიმედო დასაყრდენი, ამდენად ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოთა ლიტერატურაში მის ეგრედ წოდებულ რეციდივებზე, ნაშთებზე, მაგ. ფორმალისტურ ტენდენციებზე. ყველა ეს ელემენტები, მრავლად არის წარმოდგენილი იმ ლიტერატურულ მასალაში, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება.

არსებობს ღრმა შინაგანი კავშირი ფორმალისტურ „ესთეტიურობასა" და უხეშ ნატურალიზმს შორის ჩვენ გვაქვს არა ერთი ნაწარმოები, სადაც მოცემულია ფორმალიზმის და ნატურალიზმის ელემენტების თავისებური შეთავსება. ნატურალიზმი, რომელიც მიმართავს სინამდვილის უბადრუკ ფოტოგრაფიულ ფიქსაციას, რომელსაც არ შესწევს ძალა განაზოგადოს და იდეური სული ჩაბეროს მასალას, თავისი ბუნებით ახლოს დგას ფორმალიზმთან.

პარტია და ხელისუფლება, ჩვენი კულტურულად გაზრდილი საბჭოთა მკითხველი, მწერლების წინაშე მწვავედ სვამს მხატვრული ნაწარმოების ხარისხისათვის ბრძოლის ამოცანას. ფორმალიზმის და ნატურალიზმის ტენდენციების აღკვეთა მწერალს არ ართმევს ნოვატორობის უფლებას. ჩვენ გვაქვს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გენერალური ხაზი, სოციალისტური რეალიზმის ხაზი. ეს არის მაგისტრალური გზა, რომელიც დაუსახა ჩვენს ლიტერატურას ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა.

ამ მეთოდით უნდა წარიმართოს საბჭოთა ლიტერატურის განვითარება.

◇

ქართულმა მწერლობამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი ლიტერატურის მოქმედების არე დიდი ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს. ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი იდეურად გამართული მხატვრულად მაღალხარისხოვანი ნაწარმოები. ჩვენი მწერლების და პოეტების საუკეთესო ქმნილებანი სარგებლობენ საკავშირო რეზონანსით. მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოს მშრომელთა მიმართვა ამხ. სტალინისადმი ქართველმა პოეტებმა ჩამოაყალიბეს მაღალხარისხოვანი ლექსის სახით, ქართული საბჭოთა მწერლობის უდავო გამარჯვების დამადასტურებელია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ქართულ დღევანდელ ლიტერატურას არ ახასიათებდეს ზოგიერთი უარყოფითი მხარეები. ისე, როგორც საერთოდ საბჭოთა ლიტერატურა, ის ჯერ კიდევ ჩამორჩება სოციალისტური მშენებლობის ტემპებს. ჩვენც გვაქვს ფორმალისტური, ნატურალისტური დამახინჯებების და გაუბრალოების მთელი რიგი მაგალითები.

ჩვენს ლიტერატურაში ერთ დროს მეტად მძლავრ მიმდინარეობას წარმოადგენდა დეკადენტური, სიმბოლისტური სკოლა. ჩვენ გვყავდა აგრეთვე უფრო რადიკალურად განწყობილი „მემარცხენე" ფორმალისტთა ჯგუფიც — ფუტურისტების სახით. ამ მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლები დღეს საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე დგანან, კეთილსინდისიერად ემსახურებიან მუშათა კლასის ინტერესებს, მაგრამ მათ შემოქმედებაში ისევ და ისევ ადგილი აქვს ფორმალისტურ რეციდივებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთ საბჭოთა მწერლებზე, როგორიც არიან **სიმონ ჩიქოვანი და დემნა შენგელაია.**

სიმონ ჩიქოვანმა 1933 წელს გამოსცა თავისი ლექსების წიგნი, სადაც შეიტანა „ზამთრის" ლექსებიც. უკანასკნელ ხანებში პოეტმა დასწერა მთელი რიგი გამართული ლექსი „შემოდგომა ხახმატში", „სამეგრელოში მოგონებული საღამოები" და სხვა, მაგრამ ზოგიერთ ლექსში პოეტს მაინც ახასიათებს ფორმალისტური, ბუნდოვანი სახეები და გამოთქმები. მის ლექსებში ზოგჯერ მთავარია ნივთი, ადამიანები კი შედარებით უკანა პლანზე არიან წარმოდგენილი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „დონბასის ღამე" და „გმირის ძიება ნატოჩაოში".

ორივე ლექსი აგებულია გარეგანი სანახაობათა პრინციპებზე. ლექსში „დონბასის ღამე" არ სჩანს მემაღაროელების გმირული ბრძოლა, არ სჩანან ადამიანები, სახეთა სისტემა ბუნდოვანია და გაუგებარი.

დისკუსიასთან დაკავშირებით ს. ჩიქოვანი გამოვიდა წერილით ჩვენს პრესაში. ზოგადი დებულებანი, რომელსაც ის აყენებს, სიმართლეს შეიცავს, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მან პირდაპირი თვითკრიტიკა თავისი წარსული მუშაობის მიმართ ვერ გამოიჩინა.

დ. შენგელაიამ წელს გამოსცა მოთხრობების წიგნი, სადაც შეტანილია ცალკეული თავები რომანიდან „ტფილისი", „სამოუდური ზღაპრები" და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ ფორმალისტური ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს. ამას ავტორიც არ უარყოფს. აშკარაა, რომ ასეთ მოთხრობების ხელახლა გამოცემა ვერაფერს მისცემს ნამდვილ საბჭოთა მკითხველს. დ. შენგელაიამ დასწერა რომანი „ბათა ქექია" და ნარკვევი „ფიცი", სადაც მწერალი გამოდის რეალისტურ პოზიციებზე, მაგრამ არც ამ ნაწარმოებებშია დაძლეული ფორმალიზმის ნაშთები. ეს გარემოება მწერალს ხელს უშლის იმუშაოს თანამედროვე თემებზე. დამახასიათებელია თუ გნებავთ ის ფაქტი, რომ მან შეწყვიტა რომანის „სტელას" ბეჭდვა. ეს ჩვენ ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ავტორს უძნელდება თანამედროვე ადამიანების დახატვა.

დ. შენგელაიასთვის დამახასიათებელია სიმძიმის ცენტრის უფრო სტილისტურ ხერხების ორიგინალობაზე დამყარება და არა ნაწარმოების შინაგან მთლიანობაზე, სიუჟეტურ მიმზიდველობაზე. რაც უთუოდ წარმოადგენს ფორმალიზმის ძლიერ გავლენას.

ყოფილი დეკადენტური სიმბოლისტურ სკოლის ოსტატები ამჟამად დგანან ჩვენი ლიტერატურის მოწინავე რიგებში, მაგრამ ბევრი მათგანი, მაგალითად **ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე და ნ. მიწიშვილი** ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან სიმბოლისტურ ტრადიციებისაგან.

მე აქ საჭიროდ არ მიმაჩნია შევჩერდე პოეტ ტ. ტაბიძის მიერ 1934 წელს გამოცემულ ლექსების წიგნზე. სადაც პოეტის მიერ შეტანილია მისი ძველი ლექსები, გამსჭვალული დაცემულობის, ნაციონალისტურ განწყობილებათა და რელიგიურ მისტიციზმის გესლით. ამ წიგნს ჩვენი კრიტიკა სამართლიანი გულისწყრომით შეხვდა. პოეტმა კი იმის ნაცვლად, რომ გაეშალა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა, ახალი ორიგინალური ნაწარმოებით დაემტკიცებია, რომ არაფერი აქვს საერთო თავის ფორმალისტურ წარსულის მემკვიდრეობასთან, უკანასკნელ ორი სამი წლის განმავლობაში თითქმის შეანელა თავისი შემოქმედებითი აქტივობა და ეს იმ დროს, როდესაც ტაბიძეს ყველა შესაძლებლობა გააჩნია იყოს გაცილებით უფრო ნაყოფიერი.

უკანასკნელად მან დასწერა ლექსი „ორდენოსანი სამშობლოსათვის", სადაც მართალია დეკადენტურ სიმბოლისტური ტრადიციები თითქმის დაძლეულია, მაგრამ ამ ლექსშიც, ვერ ვხედავთ ჩვენი სოციალისტურ სინამდვილის კონკრეტულ გამოხატულებას. ეს ნაწარმოები სრულიად არ არის საკმარისი პოეტის გადაიარაღების და რეალისტურ შემოქმედების პოზიციებზე განმტკიცების საილუსტრაციოდ.

მკაფიოდ გამომჟღავნდა დეკადენტური ტრადიციების ნაშთი პოეტ გ. ლეონიძის შემოქმედებაშიც. მან დასწერა მთელი რიგი ნამდვილი საბჭოთა ლექსი, ჩვენი გმირული სინამდვილის გამომხატველი. მაგრამ ასეთი მუშაობის პარალელურად გ. ლეონიძე სწერს ლექსებს, მოკლებულს აზრის სიმახვილეს, იდეურობას და ნათლად ამჟღავნებს განყენებულ თვითმიზნურ პეიზაჟებისადმი მიდრეკილებას.

საყურადღებოა, რომ ასეთი განყენებული ესთეტიკური მუშაობის დროს ლეონიძის ლექსების ფორმა ღრმავდება და ერთგვარ დაკნინებასაც განიცდის, მაგალითისათვის მივასახელებ თუ გნებავთ მის ლექსებს „მიხი". „ტფილისის განთიადები" და სხვა.

ისეთ უეჭველად საბჭოთა პოეტს, როგორიცაა ვ. გაფრინდაშვილი, რომელმაც შექმნა საბჭოთა პოეზიის მთელი რიგი ნამდვილი ნიმუშები („ოქტომბრის სტრიქონები", „ჩემი ქვეყანა" და სხვა), ზოგჯერ თან სდევს დეკადენტურ - სიმბოლისტური პოეზიის რეციდივები, ამის მაჩვენებელია მისი ლექსი „მკვლელობა თეატრის შესახვევში", ან ბალადა „შლეიფისა და მარიოს შესახებ".

ფორმალიზმის და ნატურალიზმის ეკლექტიკური აღრევის ნიმუშს ჩვენს პოეზიაში წარმოადგენს კ. კალაძის ლექსების წიგნი, გამოცემული 1934 წელს. ამ წიგნში შეტანილი ლექსების დიდი ნაწილი წარმოადგენს მოვლენების ისეთ ინდიფერენტულ აღწერას, სადაც არ სჩანს პოეტის დამოკიდებულება ამ მოვლენებთან. სამაგიეროთ აქ არის ექსპერიმენტები ორიგინალური მეტყველების ფორმების დაუფლებისათვის. ეს ექსპერიმენტები ზოგჯერ იწვევენ მეტად ხელოვნურ ფორმებს პოეტური სტილის სფეროში. მე ვგულისხმობ მის ლექსებს „რუბაია", „მთიდან დაბრუნება ღამით", „მეზღვაურების მეხვედრა" და სხვ. აუცილებელია, რომ ჩვენი პროლეტარული პოეზიის ისეთმა ნიჭიერმა ძალამ, როგორიც კ. კალაძეა, საფუძვლიანად გადასინჯოს და გარდაქმნას თავისი შემოქმედებითი პოზიციები.

ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ ვუკავშირებთ შეურიგებელ ბრძოლას ნატურალისტური გაუბრალოების წინააღმდეგ, რომელიც დიდ იდეების რეალისტური მხატვრობის ნაცვლად მიმართავს ფაქტების გამოთიშულ, განყენებულ სტატისტიკურ აღნუსხვას.

პროზაში ასეთ ნიმუშს ვხედავთ მაგ. ი. ტატიშვილის რომანში „დღები", სევასტი თალაქვაძის რომანში „ახალი აზვირთება" და სხვ.

ნატურალისტური უბრალოების და ამავე დროის მხატვრული ოსტატობისადმი დაუდევრობის მკაფიო მაგალითებს ვხვდებით ჩვენ პოეზიაშიც. მაგალითად, შეიძლება აქ დასახელებულ იქნას ლისაშვილის ლექსების წიგნი. რომელიც 1935 წელს გამოიცა. ამ წიგნში შეტანილი ლექსების საგრძნობი ნაწილი არ დგას თანამედროვე საბჭოთა პოეტური კულტურის სიმაღლეზე. ლისაშვილის ლექსების ამ კრებულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კარგს იზამდენ ჩვენი მწერლები და საგამომცემლო ორგანიზაციები, თუ ხელს აიღებენ ისეთ პრაქტიკაზე, როდესაც ყოველგვარი შემოწმების და გადამუშავების გარეშე ახალ-ახალ გამოცემებად იბეჭდება მწერლის ეგრედწოდებული „სრული კრებული", რომელშიაც ჩვეულებრივ ავტორის ყოველგვარი ნავარჯიშევი. საჭიროა მეტი პატივისცემა კულტურულად გაზრდილ ჩვენი მასიური მკითხველისადმი.

პოეტი და დრამატურგი პ. სამსონიძე, რომელმაც უკანასკნელ წლებში უეჭველად გააუმჯობესა თავისი შემოქმედების ხარისხი, ხშირად დაუშვებელ უპასუხისმგებლობას იჩენს სწორედ მაშინ, როდესაც ისეთ საპასუხისმგებლო საგანზე მუშაობს, როგორიც არის სტალინის თემატიკა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე ამხ. ეულის პოემა „ბოლშევიკთა პარტია", სადაც ავტორი პარტიის გმირული ბრძოლების და ამ ბრძოლათა ორგანიზატორების შესაფერი ღრმა პოეტური სახეების ნაცვლად გვაძლევს სქემატიურ აღნუსხვას. უნდა აღვნიშნო აგრეთვე ამხ. ს. ეულის ლექსი „ბელადი დედასთან", რომელიც უეჭველად პოეტის მხატვრული წინსვლისა და შემოქმედებითი მიღწევის საბუთს წარმოადგენს.

როდესაც ჩვენს ლიტერატურაში ნატურალისტურ საშიშროების შესახებ ვლაპარაკობთ, ზოგჯერ ეს შეეხება მეტად კვალიფიციურ საბჭოთა მწერლებსაც. აქ ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მიხ. ჯავახიშვილს. „არსენა მარაბდელის", „ჯაყოს ხიზნების" და მთელი რიგი ისეთ მოთხრობათა ავტორს, როგორიცაა მისი „მართალი აბდულა", „ლამბალო და ყაშა" და სხვა.

ასეთმა რეპუტაციის მწერალმა გამოაქვეყნა მოთხრობა „ცხრა ქალწული", რომელიც თემისადმი ნატურალისტური მიდგომის ნიმუშს წარმოადგენს. ნატურალისტურად აღწერილი ეპიზოდები გვხვდება აგრეთვე რაჟდენ გვეტაძის ახალ რომანში „ლამაზურის საღამოები".

უნდა შევჩერდე აგრეთვე კონ. გამსახურდიას დიდ რომანზე მთვა-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

---

*) წერილი წარმოადგენს გადამუშავებულ სტენოგრამას იმ შესავალი სიტყვისა რომელიც წარმოთქმული იქნა მწერალთა შემოქმედებით დისკუსიაზე 31 მარტს.

ფოტო გოდიაშვილისა.

ბათუმის მიდამოები — ეს საბჭოთა ფლორიდა განთქმულია ჩინებული ადგილებით, სადაც წყება-რიგად დასასვენებელი სახლები, მახლობლად ბობოქრობს ზღვა. ათასობით მშრომელნი თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან პოულობენ აქ კულტურული დასვენების ბინას. სურათზე: ფანჩატური ციხის-ძირში.

○

იბრძვიან 400.000 ძირი ევკალიპტისათვის

კოლხიდმშენმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციას ევკალიპტების გაშენების შესახებ კოლხიდმშენის ზონით.

გეგმით 20 აპრილამდე უნდა დაირგას 400 ათასი ძირი ევკალიპტი, ფაქტიურად 28 მარტისათვის დარგული იყო 250 ათასი ძირი, ამ ვადისათვის გეგმით გათვალისწინებულ 190 ათასი ძირის ნაცვლად გეგმა შესრულებულია 131 პროცენტით.

მედიცინის ხუთდღიური აფხაზეთში

პროფ. გ. მუხაძე

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ა. წ. 20 მარტს აფხაზეთში მიავლინა პროფესორთა ბრიგადა (მუხაძე, წინამძღვრიშვილი, მიქელაძე, ლოლობერიძე და წულუკიძე), ბრიგადის გაგზავნის მიზანი იყო, განემტკიცებინა კავშირი აფხაზეთისა და საქართველოს ექიმთა საზოგადოებებს შორის, საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით კვალიფიკაციური საექიმო მომსახურება გაეწია კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მომუშავეებისათვის.

ბრიგადამ 5 დღის განმავლობაში (21-25 მარტს) დიდი მუშაობა გასწია. ბრიგადა ადგილობრივ ექიმებთან ერთად სოხუმში, საბჭოთა მეურნეობებში (გულრიფში, აჩიგვარა, და სხ.) და კოლმეურნეობებში (დურიფში, მერხეული და სხ.) ეცნობოდა სამკურნალო დაწესებულებებს და მოსახლეობისთვის საექიმო დახმარების დაყენებას, დათვალიერებულ იქნა საავადმყოფოები გუდაუთაში, ოჩამჩირეში, გალში და ჩატარდა კონსულტაციები ადგილობრივ ექიმებთან მძიმე და ძნელ ავადმყოფებზე, საღამოობით ბრიგადა აფხაზეთის საექიმო საზოგადოებასთან ერთად მართავდა სამეცნიერო სხდომებს, სადაც წაკითხული იქნა რამდენიმე მოხსენება მედიცინის აქტუალურ საკითხებზე: სხდომებს კონფერენციის ხასიათი ჰქონდა. მათ დიდძალი ხალხი ესწრებოდა და ბევრი როგორც ადგილობრივი, ისე რაიონიდან ჩამოსული ექიმი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ხუთდღიურით მტკიცე საძირკველი ჩაეყარა საქართველოს და აფხაზეთის ექიმთა შორის მჭიდრო კულტურულ და მეცნიერულ კავშირს.

კრებაზე იყო აღნიშნული, რომ ასეთი კავშირი მოძმე რესპუბლიკებში მომუშავე ექიმებს შორის არის ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის შედეგი და გამოითქვა სურვილი, ასეთი კონფერენციები ყოველწლიურად იმართებოდეს.

აფხაზეთის სამკურნალო დაწესებულებებმა ბრიგადაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს, ბევრ მათგანში გარდა სამკურნალო-პრაქტიკული მუშაობისა, სწარმოებს აგრეთვე მეცნიერული მუშაობა, რაც საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ბრიგადის წევრებმა ფართო მშრომელთა მასისათვის წაიკითხეს აგრეთვე პოპულარული ლექციები კლუბებში უტკივარი მშობიარობის, სისხლის გადასხმის, გულის დაავადებათა, გრიპის შესახებ და სხვ. აქაც აუდიტორია გაჭედილი იყო მსმენელებით, რომლებმაც აგრეთვე დიდი აქტივობა გამოიჩინეს, აურიცხველ კითხვებს აძლევდნენ ლექტორებს, რომელთაგანაც ღებულობდნენ დაწვრილებით განმარტებას.

25 მარტს ბრიგადა გალში დაესწრო გაფართოებულ სამალარიო კონფერენციას კოლმეურნეთა და მშრომელ-მოსახლეთა მონაწილეობით.

აფხაზეთის ჯანსახკომის ამხ. ანჩაბაძის მიერ ყოველგვარი ზომა იყო მიღებული რათა ხუთდღიურს პროდუქტიულად ჩაევლო. ადგილობრივი ხელისუფლება და პარტიული ორგანიზაციებიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ ამ საქმეში, ბრიგადა ჩასვლისთანავე მიიღო აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. დ. ქუჩულორიამ, რომელიც ესაუბრა ბრიგადის წევრებს და აქტიურად დაეხმარა მათ.

მედსანშრომის კავშირის საჩვენებელი, საბავშვო ბაღი ტფილისში. სურათზე: ბაღის ყველაზე მხიარული გოგონა ნელი წერეთელი თავისი საყვარელი „სონიათი“.

○

სკოლების მშენებლობა საქართველოს ქალაქებში

(31 მარტისათვის)

საქართველოს ქალაქებში წელს შენდება 15 სასკოლო შენობა 9.000 მოწაფის ადგილით. **ბათუმში** 400 მოწაფის ადგილიანი სკოლის მშენებლობა შესრულებულია 11,4 პროცენტით, მეორისა—12,27-ით **სოხუმის**—0,04-ით, **ოჩემჩირის** — 1-ით **სტალინირის**—16-ით, **ქუთაისის** (880 ადგილიანი)—12,1-ით, მეორისა — 11,9 პროცენტით.

ტფილისის სკოლების მშენებლობა ასეთ სურათს იძლევა:

საბურთალოს სკოლის მშენებლობა შესრულებულია 7,26 პროცენტით, მნათობის ქუჩაზე—10,9-ით, ბრძოლის ქუჩაზე—7,38-ით, სარეწაო კოოპერაციის ქუჩაზე სწარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები კაბგეროვის ქუჩაზე სკოლის მშენებლობა შესრულებულია 9,07 პროცენტით, გერმანელების ქუჩაზე - 8,77-ით, ნინოშვილის ქუჩაზე - 11,52-ით ახალშენის ქუჩაზე—24 პროცენტით.

ტფილისის სკოლების ხარჯთაღრიცხვა 2 აპრილს დაამტკიცეს.

◇

აი, სად არის ბოროტმოქმედება

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ უწესივრობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა სტალინის სახელობის საბინაო-სამშენებლო ამხანაგობაში და რომლებიც ამას წინათ გამომჟღავნდა.

ამ ამხანაგობის გამგეობაში უკანონოდ მოკალათებული იყო ლ. ჩუტლაშვილი. მას თვითნებურად გაუუქმებია ამხანაგობის საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობის უფლებამოსილება და მასში თავისიანები შეუყვანია „კოოპტაციის წესით“.

ჩუტლაშვილი ისე განაგებდა ამხანაგობის საქმეებს, როგორც თვითონ მოეპრიანებოდა. არ იწვევდა სხდომებს, არ იწვევდა ამხანაგობის საერთო კრებებს, არ სცნობდა სარევიზიო კომისიას და არ აძლევდა მას რევიზიის ნებას.

გამგეობის 300-ზე მეტ წევრს შორის 100-მდე კომუნისტია. ისინი არ ყოფილან გამოყენებული ამხანაგობის სამუშაოებში, არ არსებულა რწმუნებულთა ინსტიტუტი. ახლოსაც არ იკარებდნენ ამხანაგობის დამფუძნებლებს.

გამგეობას გამოჰქონდა უკანონო დადგენილებანი. ასე, მაგ. 1934 წ. 25 აგვისტოს გამგეობას დაუდგენია: „გარიცხულ იქნან გამგეობიდან (ვადის დაუცველად) ყველა ის წევრნი, რომლებიც პასივობას იჩენენ“; ამავე წლის 10 ივლისს—„ნებადართულ იქნას ამხანაგობის წევრთა კოლექტივების დაარსება იმ პირობით, რომ მათივე სახსრებით აშენებული ობიექტებიდან გამგეობას გადაეცეს არა ნაკლები ორი ბინისა“. 1935 წლის 21 იანვარს — „ყველა ობიექტის [illegible] დარიცხულ იქნას ნაცვლად 8 პროცენტისა—9 პროცენტი“.

გამგეობას არ ჰქონია სამშენებლო-საფინანსო გეგმები. გეგმების ნაცვლად ამხანაგობის ტექნიკოსი საქმინკავშირსა და კომბანკს უგზავნიდა გარდამავალი ობიექტების სიას, რომელშიაც აღნიშნული არ იყო არც დაწყებისა და დამთავრების რიგი, არც მათი ტექნიკური მზადყოფნის ზუსტი პროცენტები, არც საპროექტო ხარჯთაღრიცხვა, ან გამოთვლების რეალური ვადები. ტექნიკური მზადყოფნის პროცენტს ხშირად მეტს უჩვენებდნენ, რათა ობიექტი სატიტულო სიაში მოხვედრილიყო.

1935 წელს გამგეობას სრულიად არ უწარმოებია მუშაობა ამხანაგობის ობიექტზე. ამავე დროს, გამგეობისა და ტექპერსონალის შენახვაზე 19.500 მან. ნაცვლად 44.800 მანეთი დაუხარჯავს.

პირდაპირი მოვალეობის გვერდის ავლით, გამგეობას საიჯარო სამუშაოები უწარმოებია („საქტრის“ და სხვ.). მათგან 282.100 მან. მიუღია, აქიდან 200.000 მან. დახარჯულად არის ნაჩვენები, დანარჩენი თანხა არსად ჩანს.

სამი წლის (1933, 1934, 1935 წ. წ.) ბალანსების გასინჯვით გამოირკვა, რომ არ ყოფილა წევრთა დიდთანხიანი ანაბრების ზუსტი აღრიცხვა, მართებულად არ გაუწერიათ მიღებული კრედიტები სამშენებლო ობიექტებზე და არც სადებიტორო და საკრედიტორო სიები შეუმოწმებიათ.

ყველა სამშენებლო-ობიექტზე დიდი გადახარჯვაა. ფინანსების ათვისებასა და ობიექტების ტექნიკურ მზადყოფნას შორის განსხვავება 20 პროც. აღწევს.

გამგეობის ბოროტმოქმედებას ავსებენ ისეთი ფაქტები, როგორიცაა ბინების ყიდვა და ავტომანქანების ბნელი გზით შეძენა. ამ მანქანებს ისევ მათი გამყიდველები ამუშავებდნენ და ამხანაგობას მრავალ ათასობით ზარალს აყენებდნენ.

დამახასიათებელია, რომ გამგეობის წევრს დოლიძეს გამგეობის სახელით გამოუტყუებია ოთახი მოხუცი დარაჯი ახობაძისათვის (ლენინგრადის ქუჩაზე) და თვითონ ის, ბოლოსდაბოლოს, [illegible] დაუტოვებია.

ამხანაგობის წევრთა საერთო კრებამ, რომელიც ა. წ. 13 მარტს შესდგა, დაადასტურა გამგეობის მუშაობის გამომრკვევი ბრიგადის მასალები, რომლებიც ნათელჰყოფენ ამხანაგობის სამუშაოთა კატასტროფულ მდგომარეობას და ფინანსიური საქმიანობის სრულ აბნეულობას.

სამი წლის განმავლობაში საპაიო გადასახადები და კრედიტები მიუღიათ 585 579 მან. ამ თანხიდან მშენებლობაზე დაუხარჯავთ 484.269 მან. და ადმინისტრაციულ-ტექნიკური აპარატის შენახვაზე —49.000 მან. უნდა დარჩენილიყო 52.300 მან. მაგრამ ეს თანხა არსად ჩანს.

ამხანაგობის საერთო კრებამ დაშალა ძველი გამგეობა და ახალი აირჩია. დამნაშავენი სახელმწიფო თანხების განიავებისა და აღმშენებლობის ჩაშლისთვის სათანადოდ უნდა დაისაჯონ.

სტალინის სახ. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობის მაგალითი გვეუბნება, რომ საბინაო კოოპერაციის ხაზით ყველაფერი რიგზე არ არის.

ნ. ლეჟავა

◇

მეთვალყურეობის გაძლიერებისათვის მოწაფეებზე

ტფილისის განათლების განყოფილებამ დაამუშავა ღონისძიებები მოწაფეთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად სკოლის გარეთ. სკოლებმა უნდა უხელმძღვანელონ და მეთვალყურეობა გაუწიონ მოწაფეებს მას შემდეგ, როცა ისინი სკოლიდან ბრუნდებიან შინ, სკოლებმა დახმარება უნდა გაუწიონ მშობლებს, რომ მოწაფეები კულტურულად ისვენებდნენ, დროზე იმეცადინონ, დროზე დაიძინონ და სხვა.

იმისათვის, რომ სკოლებმა შესძლონ მოწაფეთა მეთვალყურეობა სკოლის გარეთ, გადაწყვეტილია პირველი სექტემბრიდან ყველა სკოლაში შემოიღონ სკოლის გარეთ მოწაფეთა ხელმძღვანელი - პედაგოგების თანამდებობა. ასეთი პედაგოგები უნდა აიყვანონ იმ სკოლებმა, სადაც მოწაფეთა რიცხვი 300-ზე მეტია.

◇ ◇ ◇

ძალოსნების სავარჯიშო ბაზა

ტფილისის ფიზკულტურის საბჭომ გახსნა ძალოსნების ახალი სავარჯიშო ბაზა, სადაც სისტემატურად ვარჯიშობენ ტფილისის სიმძიმეების საუკეთესო ამწევნი, მოკრივეები და მოჭიდავეები. სავარჯიშო დარბაზში მოწყობილია ცხელი შხაპი და უზრუნველყოფილია პირველი საჭიროების სპორტინვენტარით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „სპარტაკის“ ძალოსნური სექციების მუშაობა, რომელიც, როგორც მასობრივი, ისე ძალოსნების სასპორტო ხარისხით ძალიან მაღალ დონეზე დგას.



სურათზე: სპარტაკის საუკეთესო მოკრივეები ვარჯიშობის დროს: მარცხნივ მოკრივე ავეტისოვი, ბურთზე ვარჯიშობის მომენტში; შუაში—მოკრივეები მელაძე და ცომაია. მარჯვნივ—ტფილისის საუკეთესო მწვრთნელი ამხ. ფურცელაძე თვალყურს ადევნებს ნავასარდოვისა და ლარიონის ვარჯიშობას. ფოტო შმერლინგისა.

მწერალთა შემოქმედებითი დისკუსია

2 აპრილს ხელოვანთა სასახლეში შესდგა მწერალთა შემოქმედებითი დისკუსიის მეორე სხდომა. დაიწყო კამათი ამხ. დ. დემეტრაძის მოხსენების გარშემო.

უნდა ითქვას, რომ ეს საღამო არ იყო ჩატარებული ნამდვილი თვითკრიტიკის ნიშნით. დისკუსია ვერ იდგა ასეთ იდეურ-პრინციპულ სიმაღლეზე, ოპონენტები დაკმაყოფილდნენ ზოგადი ფრაზებით, საკუთარი სამწერლო ბიოგრაფიების მოთხრობით და არსებით დისკუსიის პირდაპირ საგანს გვერდი აუხვიეს.

დისკუსია მიმდინარეობდა „უწყინრად“, ფორმალისტური და ნატურალისტური დამახინჯებათა კონკრეტული მაგალითების გამომჟღავნების და კრიტიკის გარეშე. თუ მომავალი სხდომებიც ასე გაგრძელდა, დისკუსია ვერ გამოიღებს სათანადო ნაყოფს, ვერ ითამაშებს რაიმე დადებით როლს.

2 აპრილის საღამოს სხდომაზე პირველად სიტყვა მიეცა მწერალს იოსებ ტატიშვილს, რომელმაც განაცხადა:

— ჩემი უკანასკნელი ნაწარმოები რომანი „დები“, აქ ამხ. ბ. თათარიშვილმა სავსებით სწორად გაარჩია. სამართლიანად იყო აღნიშნული და გაკრიტიკებული ნატურალისტური დამახინჯებები და გადაჭარბებების შემთხვევები, რომელსაც ამ ნაწარმოებში ვხვდებით. მომავალში უფრო უკეთეს ნაწარმოების შექმნისათვის მე შევეცდები უფრო ახლოს გავეცნო ჩვენი ეპოქის ახალ ადამიანებს. გავუსწორო ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ზრდასა და წინსვლას.

რაჟდენ გვეტაძემ ფორმალისტურ და ნატურალისტურ დამახინჯებებზე კონკრეტულად თითქმის არაფერი არ ილაპარაკა. მან თავისი სიტყვის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა იმ უდავო ჭეშმარიტების დამტკიცებას, რომ ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არაა ფორმის და ხარისხის წინააღმდეგ ბრძოლა.

სიმონ მთვარაძემ თავის სიტყვის უდიდესი ნაწილი მოანდომა იმის დამტკიცებას, რომ მის მიერ გასცენიურებული „სურამის ციხე“ არის საკუთარი ორიგინალური ნაწარმოები... მოკლედ ის შეეხო დისკუსიის უშუალო თემასაც და განაცხადა: —მონტაჟი და გასცენიურება არაა სწორი გზა დრამატურგიისათვის. ასეთ ექსპერიმენტებს შედეგად ზოგჯერ გაუბრალოების ნიმუშებს ვღებულობთ. ამ გზაზე დრამატურგებს ბიძგს აძლევენ ჩვენი სახელმწიფო თეატრები, რომლებიც ხშირად ვერ აფასებენ ორიგინალური პიესების მნიშვნელობას. ამხ. მ. თვარაძე შეეხო შემდეგ საკუთარ შეცდომებს, რომელიც მან დაუშვა პიესებში: „შუქი“ და „არსენა მარაბდელი“, „ჩვენც, ჩვენც“ და „[illegible] რგოლი“.

აკაკი გაწერელია გამოვიდა საკუთარი ფორმალისტური შეცდომების კრიტიკით.

სერგო კლდიაშვილმა თავისი სიტყვა აგო დისკუსიის არა უშუალო საგანზე, არამედ თავის სამწერლო ბიოგრაფიაზე. ბოლოს მან გაკვრით აღნიშნა, რომ უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ყოველი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებას. ფიქრობს, რომ ამჟამად ძირითადში იდგია სოციალისტური რეალიზმის სწორ გზას. მაგრამ მის შემოქმედებაშიც ადგილი აქვს შეცდომებს, მაგალითად უკანასკნელი მოთხრობა „წარმართი“, ატარებს ფორმალისტურ ტენდენციას.

კონსტ. გამსახურდიას აზრით, მწერლობაში სწორი კრიტიკა უნდა შეეხოს ყველას მიუხედავად პიროვნებისა. თუ ეს ბოლომდე სწორედ ვერ გავატარეთ ჩვენს დისკუსიას რაიმე დადებითი მნიშვნელობა აღარ ექნება. სამწუხაროთ, ორატორმა თვითონ გვერდი აუარა ასეთ კრიტიკას. ერთადერთად შეჩერდა ქართული ლიტერატურის დღევანდელ [illegible]. იგი შეეხო ისტორიული თემებით გატაცებას, რასაც აქვს ადგილი ამჟამად, და განაცხადა: ისტორიული რომანი დღეს არ შეიძლება იყოს წამყვანი, შემდეგ გამსახურდია შეეხო თავის რომანს—„მთვარის მოტაცებას“ და აღნიშნა, რომ მართალია, რომანში ახალი ადამიანები არზაყანი, ჩალმაზი და სხვ. უფრო მკრთალები არიან, ვინემ წარმავალი თაობის წარმომადგენლები. მაგრამ ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული ცდა მემუშავა თანამედროვეობის თემატიკაზე და ამ მხრივ საყურადღებო თუ რამე გავაკეთე, მიზანი მიღწეულად მიმაჩნია.

კამათი გრძელდება.

◇ ◇ ◇

კინო

„კოსმიური რეისი“

— ყოვლად შეუძლებელია, აკადემიკოსო სედიხ, თქვენი მთვარეზე გაფრენა,— ეუბნება სწავლული ექსპერიმენტატორი კარინი ასტრონომს.

— საბუთი?

— რაკეტი № 127 მხოლოდ 100 ათასი კილომეტრის მანძილზე გაფრინდა და შიგ მყოფ კურდღელს გული გაუსკდა!

— კი, მაგრამ მე ხომ კურდღელი არა ვარ?!—ირონიული ღიმილით უპასუხებს მოხუცი აკადემიკოსი გაუბედავი ექსპერიმენტატორის მტკიცებას.

ეს სცენა, არსებითად, „კოსმიური რეისის“ პირველი კადრების ცენტრალური ადგილია. ამის შემდეგ იწყება სცენარის სიუჟეტური განვითარება. მაყურებელი გრძნობს მეზნებარე ასტრონომისა და მისი მოწაფეების დიდ გმირობას: 1946 წელს რაკეტ—პლანი „იოსებ სტალინი“ მამაცი ასტრონავტებით მიფრინდება მთვარეზე. აქ, კოსმიურ ღამეებში მეცნიერები იკვლევენ მთვარის წიაღებს, აღმოაჩენენ მადნებს ე. წ. გაქვავებულ ატმოსფეროს, რომელიც სცვლის [illegible] ხელსაწყოს და მთვარეზე ადამიანს თავისუფალი სუნთქვის საშუალებას აძლევს.

მთვარის კრისტალურ მასივებში იპოვეს საექსპერიმენტოდ გაფრენილი მაზალა, რომელშიაც ცოცხალი აღმოჩნდა მთვარეზე [illegible] გაგზავნილი... კატა. ეს არის ფანტაზიის მარცვლები, რომლებსაც ემატება სათავგადასავლო მომენტები: მოხუცი ასტრონომის დაკარგვა, განგაში მიწიდან 80 კილომეტრის მანძილზე მაზალის წონასწორობის დარღვევის გამო, შეუპოვარი ბრძოლა მთვარიდან მიწისათვის სიგნალის მისაცემად. ფილმის ინტერესს აძლიერებს მასში საყოფაცხოვრებო-კომიკური ელემენტების შეტანა: სედიხის ცოლი ცდილობს მეცნიერი მთვარეზე გასტუმრების „შეიარაღებული“ არა წიგნებით, არამედ [illegible] საყელოებით, მას სტრატოპლანთან ჭმრისათვის მიაქვს თბილი ნაბდის წაღები, რადგან... მთვარეზე 1700 გრადუსი ყინვა ყოფილა...

ფილმი ძირითადად ამართლებს თავის მთავარ დანიშნულებას — უჩვენოს მაყურებელს, რა მეთოდით შეიძლება მთვარის დაპყრობა და რა სამეცნიერო მუშაობა უნდა სწარმოებდეს ამ მიზნის მისაღწევად.

ფანტასტიკური ფილმი ჩვენში მეტად ცოტაა. ა. ტოლსტოის სცენარის მიხედვით გაკეთებულ „აელიტას“ შემდეგ, — „კოსმიური რეისი“ პირველი მეცნიერულ-ფანტასტიკური ფილმია. უცხოეთის ფილმები (მაგ. ეკრანზე გადატანილი უ. უელსის რომანი „უჩინარი ადამიანი“), მიუხედავად დადგმის დიდი ოსტატობისა და ტექნიკისა, გარკვეულ, მკაფიო იდეურ ხაზს არ ატარებს, დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებს ვხედავთ საბჭოთა ფანტასტიკურ ფილმში. აქ ფილმის დადგმის ორიგინალური ტექნიკა, შეფარდებული შინაარსთან, სწყვეტს დიდ პრობლემებს, საბჭოთა ფანტაზია დაკავშირებულია სინამდვილესთან, გამოხატავს მოცემული პრობლემის გადაჭრის პერსპექტივას და აღძრავს შეუპოვარ სურვილს ფანტაზიის სინამდვილედ გადაქცევისათვის. რეჟისორმა ვასილ ჟურავლიოვმა „კოსმიურ რეისში“ ფანტაზია შეავსო მეცნიერული აზრით, რის შედეგადაც მივიღეთ ოპტიმისტური ფილმი.

მთვარეზე გაფრენა განუხორციელებელი ოცნებაა როდია. ამ ფილმის მთავარი გმირი აკადემიკოსი სედიხი—მოძღვრის და იბრძვის კოსმიურ სივრცეებში გაფრენის უდიდესი ავტორიტეტის — სახელოვანი საბჭოთა მეცნიერის კონსტანტინე ციოლკოვსკის დიდი იდეებით. ამ ფილმის მეცნიერულ ღირებულებას აძლიერებს სწორედ ის გარემოება, რომ მისი სცენარის მეცნიერული მხარის დამუშავებაში უშუალო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტრატოპლანის პიონერი კ. ე. ციოლკოვსკი, რომელსაც ეკუთვნის ამ ფილმში მოცემული სტრატოპლანის ნახაზები და რომლის მეცნიერული მეთვალყურეობით არის შესრულებული მთვარეზე გამგზავრებული პერსონაჟების ტანსაცმლის სურათები. მაყურებელი გრძნობს, რომ ფანტაზია, რომელიც აკადემიკოსმა სედიხმა (იგულისხმეთ ციოლკოვსკი) შექმნა არც ისე შორეულ წლებში სინამდვილე იქნება. ამაშია სწორედ საბჭოთა მეცნიერული ფანტაზიის ძალა.

სრულყოფილი საბჭოთა ფანტასტიკური ფილმის შექმნა მეტად ძნელია. ეს სიძნელენი მთლიანად ვერც „კოსმიური რეისის“ ავტორებს დაუძლევიათ. მაყურებელი აშკარად გრძნობს სცენარის სიუჟეტურ სისუსტეს. ფილმში მოიპოვება დაუმუშავებელი სცენები. მკვეთრად და მკაფიოდ არ არის მოცემული ფილმის მთავარი გმირების (გარდა აკადემიკოს სედიხისა) დახასიათება, ხშირად გაუგებარია ამ გმირთა ურთიერთდამოკიდებულება. არის არადამაჯერებელი კადრებიც. მთვარეზე გაფრენა მეტად ნაუცბადევად ხდება (ორი ექსპერიმენტალური გაფრენის შემდეგ), გაუგებარია კადრი, რომელიც გამოხატავს მთვარიდან მიწაზე ჩამოფრენას. ჩვენის აზრით, მეცნიერულად დაუსაბუთებელია და დამაჯერებელი არ არის ადამიანთა ფრენა რაკეტპლანის განყოფილებებში და მთვარის სამყაროში.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ფილმი უაღრესად საინტერესოა, მისი ავტორების — რეჟისორის, სცენარისტის, ოპერატორის— მუშაობა ქების ღირსია. მათ მოგვცეს პირველი საბჭოთა მეცნიერულ ფანტასტიკური ფილმი.

ვ. წულუკიძე.
ვ. ჯავახიშვილი.

ფოტო ბულიმტხაძისა.

თავდაცვის კარში [illegible] საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის სასამსახურო მეძაღლეობის სკოლა. სურათზე: გერმანული ნაგაზის გაწვრთნა.

○

ბიბლიოგრაფია

სიმონ გუგუნავა

„თამარიანი“

სიმონ გუგუნავას „თამარიანი“ უფრო ისტორიულ ფონზე აგებული ნაწარმოებია, ვიდრე ისტორიული რომანი. ისტორიული პირების დასახელება და ზოგჯერ ისტორიული ფაქტების გამლაც ნაწარმოებს ისტორიულ რომანად ვერ გახდის. ამიტომ მართალია რედაქტორი, როცა ამბობს, მკითხველი ელიზბარის, შალვას და თამარის ბედით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე იმ ისტორიული მასალით, რომელიც ამ ნაწარმოებშია მოცემული. თვით ავტორსაც ამ გმირების რომანული თავგადასავალი უფრო აინტერესებს, ვიდრე ის ისტორიული ფონი, რომელზედაც ინტრიგა იშლება.

მიუხედავად ამისა „თამარიანი“, როგორც სამართლიანად შენიშნავს რედაქტორი, ფრიად პოპულარული ნაწარმოები იყო. პოპულარობა მისი ენის შნოიანობას, სისადავეს და ზოგჯერ მაღალხარისხოვან პოეტურ თვისებებს უნდა მიეწეროს. მაგრამ „თამარიანი“ თავისი შინაარსით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული ბაზაით, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისთვის უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენდა. „ვეფხის-ტყაოსნიდან“ ნასესხები რაინდობა და ქრისტიანული მორალით ნაზავებული სენტიმენტები, მშრალი, სქემატური სახეები, პრიმიტიული მსოფლმხედველობა და ფსიქოლოგია, თვით რუსთაველისებური, დიდის ოსტატობით ათვისებული, მაგრამ მაინც ორიგინალობას მოკლებული ლექსი მე-19 საუკუნის საქართველოს გემოვნება განვითარებულსა, რუსეთისა და ევროპის კლასიკოსებზე აღზრდილ მკითხველს ველარ დააკმაყოფილებდა.

ამიტომ არც მარტო ქუთაისის ზაფხულის მოდუნებულ ცხოვრებას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ „თამარიანის“ ავტორის [illegible] ერთად მხოლოდ ლექსების [illegible] წინამძღოლი და მღვდელი პელიძე დასტიროდა. „თამარიანის“ ახალი გამოცემის რედაქტორი ამხ. პლატონ კეშელავა ცდილობს გუგუნავას აზრებისა და მსოფლმხედველობის დასაბამს ავტორის დროინდელ საზოგადოებრივ-სოციალურ წრეში მოეძებნოს, მაგრამ ეს ცდა, სამწუხაროდ, მხოლოდ ცდად დარჩენილა. „თამარიანში“ კი [illegible] დრომოჭმული აზრები, პრიმიტიული ფილოსოფია, გაცვეთილი პატრიოტიკა და ავტორის მშობლიურ წრეში შესისხლხორცებული მსოფლმხედველობა, რომელიც უკრიტიკოდ დატოვება შეუძლებელია.

„სიმონ გუგუნავას შემოქმედება ყალბად გაგებული დარჩა“, სწერს ახალი გამოცემის რედაქტორი. არა გვგონია საყვედური დამსახურებული იყოს. „თამარიანის“ დაბეჭდვის მისი ლიტერატურული ღირსების თანაბარი იყო. დღეს კი მკითხველებისთვის უკრიტიკოდ მიწოდებული „თამარიანი“ შეიძლება, მართლაც, ყალბად [illegible] გაგებული.

ა. ჯ.

□

შეშა ტფილისისათვის

მომავალი 1936-37 ზამთრის სეზონში ტფილისის სკოლების, საავადმყოფოებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის საჭირო იქნება 65.000 კუბ. მეტრი შეშა, საწარმოთა საჭიროებისათვის — 17.000 კუბ. მეტრი, ხოლო შეშის თავისუფალი ვაჭრობის ქსელის მოსამარაგებლად —98.000 კუბ. მეტრი. სულ საჭიროა 180.000 კუბიკური მეტრი შეშა.

შეშის დამზადება, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით უნდა დამთავრდეს აგვისტოს ბოლომდე.

ქალაქის საჭიროებათათვის შეშის დამზადება და გამოტანა დავალებული აქვთ საქტყეგასაღების ტრესტს, სარეწაო კავშირის ტყემრეწვკავშირს და ტფილისის კომუნმომარაგების სამმართველოს.

◇

ჭადრაკი

საკავშირო შეჯიბრებაზე

ლენინგრადში ჩაემგზავრა ა-კ. მოჭადრაკეთა და მოშაშეთა გუნდი 14 კაცის შემადგენლობით. 5 აპრილს, დაიწყება პირველი კატეგორიის მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიაც ამიერკავკასიიდან მონაწილეობას მიიღებენ: **ხარიტონი, ებრალიძე, ვეიზერი** (საქართველო), **მ. მაკოგონოვი და დოქტოროვი** (აზერბაიჯანი).

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს სულ 42 კაცი, 3 ჯგუფად დაყოფილნი. ჯგუფებში გამარჯვებული მოიპოვებენ საკავშირო პირველობისათვის შეჯიბრებაში მიღების უფლებას, რომელიც ა-წ. შემოდგომას გაიმართება.

ერთდროულად ქ. ლენინგრადში 5 აპრილიდანვე დაიწყება ქალთა შეჯიბრება საკავშირო პირველობისათვის ჭადრაკსა და შაშში და ვაჟთა პირველ კატეგორიის მოშაშეთა შეჯიბრება. ამიერ-კავკასიიდან მონაწილეობენ: კაცი, კრუზელოვი (საქართველო), პოლინსკაია და როდიონოვა (აზერბაიჯანი), მოშაშე ქალი წარმოდგენილი იქნება აზერბაიჯანიდან მაშაში ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: ა-კ. ფილავიანი დრონოვი (საქართველო) და აზერბაიჯანის ფილავიანი ზულფიკოვი.

ოსტატთა შერჩევით შეჯიბრებაში, ვინც იმ ოსტატებისა, რომლებიც პერსონალურად არ არიან მიწვეულნი, ამიერ-კავკასიიდან მონაწილეობას მიიღებს ვ. მაკოგონოვი (ბაქო).

◇

შემთხვევები

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი. 2 აპრილს მოქ. ა. ი. გერმისაშვილი (მარის ქ. № 38) ტრამვაის ვაგონზე შეხტომის დროს ჩავარდა მისაბმელ ვაგონქვეშ და მძიმედ დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს.

ხულიგნები. ქუჩაში დებოშისა და საგუშაგოზე მდგომ მილიციელისათვის ურჩობის გაწევისათვის შეიპყრეს შ. ნ. მარგველი (მუხრანის ქ. № 6) და შ. ა. კულიჩაშვილი (კალინინის ქ. 13).

სისტემატური დებოშისა და თავისი ცოლისათვის ფიზიკური შეურაცყოფის მიყენებისათვის შეიპყრეს ს. ი. ოჯანზონი (ქოთნის ქ. № 30). ხულიგნებს პასუხისგებაში აძლევენ.

რის მოტაცებაზე“. ეს რომანი ცალკე წიგნად ეს არის გამოვიდა. საბჭოთა კრიტიკას მასზე ჯერ თავისი დასაბუთებული სიტყვა არ უთქვამს. მე მხოლოდ მსურს აქ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „მთვარის მოტაცების“ გამოსვლას ჩვენ ვაფასებთ, როგორც — ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის, ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტს. ამ უკანასკნელი ორი სამი წლის განმავლობაში.

რომანი „მთვარის მოტაცება“ კონსტ. გამსახურდიას საგრძნობი იდეური შემოქმედებითი ძვრის მაჩვენებელია. აქ მან პირველად სცადა ჩვენი თანამედროვეობის მასალაზე აეშენებია მხატვრული ნაწარმოები აესახა ჩვენს სინამდვილის სოციალური ტიპები, აესახა სოფლად მიმდინარე კლასობრივი ბრძოლა და სხვ. თუ შევადარებთ ამ რომანს მის ნოველებს „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“ ან მის რომანს „დიონისეს ღიმილს“ და სხვ., რომელთა ავტორი არა მარტო შორს იდგა ჩვენი სოციალისტური სინამდვილისაგან, არამედ აშკარად გამოხატავდა რევოლუციის მიერ განადგურებულ იდეოლოგიას ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ განწყობილებას, ჩვენთვის აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შრომას ავტორის შემოქმედებითი ევოლუციაში.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ კ. გამსახურდიამ სავსებით თავი დააღწია ძველ იდეოლოგიურ ტვირთს და მტკიცედ შესდგა სოციალისტურ რეალიზმის ნიადაგზე? ვფიქრობ, თვით ავტორს გაუძნელდება დადებითი პასუხი გასცეს ამ კითხვას.

ავტორი ჯერ კიდევ საკმაოდ განიცდის ძველი იდეოლოგიური ტვირთის სიმძიმეს, რომელიც მას ხელს უშლის გაიგოს და ასახოს ჩვენი ახალი სინამდვილე. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კ. გამსახურდიას რომანში ხშირად ვხვდებით ძველ დრომოჭმულ ჩვევა-ადათების, რიტუალების მხატვრულ აღწერას. მისი პერსონაჟი უმთავრესად მომაკვდავი ფენის წარმომადგენლები არიან. ჩვენი ახალი ქვეყნის ადამიანები კი რომანის მეორე პლანზეა მოქცეული. ძველი სამყაროს ნაშთები, რომლებიც სინამდვილეში საცოდავად გამოიყურებიან, კ. გამსახურდიას რომანში გაზვიადებულად და გაკეთილშობილებული მოსჩანან. მთავარი გმირი თარაშ ემხვარი, რომელიც გამოხატავს ანტიპროლეტარულად განწყობილი ინტელიგენციის ფენას, ავტორის მიერ უეჭველად სიმპატიურად არის დახატული. თუმცა თარაში იღუპება, მაგრამ იღუპება არა როგორც სოციალური ხორცმეტი არამედ როგორც რომანტიული რაინდი ბუნების სტიქიასთან გმირულ შეჯახებაში დამარცხებული.

არც ერთი ადამიანი ახალი ცხოვრების და ახალი ყოფის გამომხატველი აქ მთელი სისავსით და ხორცშესხმულობით არ არის მოცემული. არზაყანი, რომელიც რომანის ერთერთ გმირს წარმოადგენს და რომელიც ავტორის დიდი სიყვარულით შესრულებულია, არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი კომკავშირული ახალგაზრდობის ტიპურ სახედ. ის მძლავრად არის მოქცეული რიტუალების და ადათების ზემოქმედებაში, საერთოდ არზაყანის თავაშვებულობა კომუნისტურ მორალისათვის უცხოა მავნებელია. ზედმეტი სანტიმენტალობა, ზედმეტი ტრადიციულობა—ასეთი სახე არ შეიძლება ჩვენი კომკავშირული ახალგაზრდობის განზოგადოებულ ტიპს წარმოადგენდეს.

კ. გამსახურდია დიდი პოეტური ექსპრესიით სწერს, მაგრამ მის რომანში არ არის ბუნებრივობა და სისადავე. მეტად მშრალია და ხელოვნური მისი სტილი, ხშირად ფორმა გამოდის პირველ პლანზე და მომქმედთა მოძრაობა, სიუჟეტის განვითარება დაუსაბუთებლად და ხშირად საკმაო მოტივაციის გარეშე ექვემდებარება ავტორის სტილისტურ-ხერხობრივ კაპრიზებს. ყველა ეს გვიჩვენებს, რომ კ. გამსახურდია ჯერ კიდევ საკმაოდ დაშორებულია სოციალისტურ რეალიზმის პოზიციებს, თუმცა ის დაიძრა ამ პოზიციებისაკენ, და ამან გააძლიერა კიდევ მისი მხატვრული ოსტატობა და შემოქმედებითი ძალა.

აქ ვერ შევეხები მთელ რიგ თვალსაჩინო მწერლებს სათანადო მასალების მოყვანით, მაგრამ აქედან არ შეიძლება ის დასკვნა გაკეთდეს, რომ ის ამხანაგები, რომლებზედაც ჩვენ აქ კონკრეტულად არ ვლაპარაკობთ, სავსებით უცოდველნი არიან.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წ. სეზონი

5 აპრილს აბონემენტის გარეშე — პრემიერა სტუდიის აჭარული სექციის კურსდამთავრებულთა საჩვენებელი წარმოდგენა სასტუმროს დიასახლისი

6 აპრილს აბონემენტის გარეშე — პრემიერა სტუდიის აჭარული სექციის კურსდამთავრებულთა საჩვენებელი წარმოდგენა სასტუმროს დიასახლისი

3 და 4 აპრილს პრემიერა „სასტუმროს დიასახლისის“ გენერალური რეპეტიციის გამო წარმოდგენა არ შესდგება ამ თარიღით გაცემული მუდმივი ბილეთები გამოდგება 8 და 9 აპრილს.
სალარო ღიაა 11—2 6—9 ს. დასაწყისი 8 ს.

მარჯანიშვილის თეატრი

4 აპრილს წარმოდგ. № 121 — ნინოშვილის გურია

5 აპრილს წარმოდგ. № 128 — ვერაგობა და სიყვარული

ბილეთები თეატრის სალაროში 11—2 6—9 ს.
ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი 8 ს.

სახკინმრეწვის თეატრები

ოქტომბერი 6 8 10; დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30 — ფერი ხმოვანი ფილმი ჩვენ კრონშტადტიდან ვართ (სცენარი ვიშნევსკისა, რეჟისორი ძიგანი. პროგრამის გარ. სახალხო ზეიმი. (ამ. ვოროშილოვი ტფილისში))

რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11 — ხმოვანი ფილმი „კარმელიუკი“ პროგრამის გარეშე—საბჭოთა ხელოვნება № 6

„26“-ის კომუნ. სახ. 6-30, 8 30 10-30 — ხმოვანი კომედია „ცხარე დღეები“

ქრონიკის თეატრი ახალი ამბები — 1. აბისინიის ამბ'ი. მე-4 გამოშვება. 2. ხმოვანი ჟურნალი № 7 და № 10.

მარჯანიშვილის თეატრი

დილის წარმოდგენები

4 აპრილს — ნინოშვილის გურია

6 აპრილს — ჩატეხილი ხიდი

დასაწყისი დღის 12 საათზე.
ბილეთების ფასი: 1 მ. 80 კ —6 მან. 30 2—2

ხდება შინსახკომის თანამშრომლების ქუთაისის დახურული კოოპერატივის (სავაჭრო-საწარმოო კანტორა)

ლიკვიდაცია

ყველა სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციამ და კერძო პირმა, ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს შინსახკომის ქუთაისის დახურული კოოპერატივისადმი (სავაჭრო-საწარმოო კანტორა), უნდა წარმოუდგინოს ლიკვიდკომს არა უგვიანეს ა-წ. 15 აპრილისა; ქუთაისი, ბერიას ქ., № 23. აღნიშნული ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.
13740 ლიკვიდკომი.

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის მეორე ჯგუფის სტუდენტები ღრმად მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ჯგუფის სტუდენტის პლატონის მამის ნარიმან ლილუაშვილის გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს ვანის რაიონში ს. გორაში. 13746

წალენჯიხის საგზაო განყოფილების თანამშრომლები: სიხარულიძე, დათიკო, ვერა კვარაცხელიები, გრიშინ კაკია, ურასტი შენგელია, დადიანი, ოვალთვაძე მწუხარებით იუწყებიან განყოფილების გამგის ვლადიმერ კვარაცხელიას მამის ისლამ ხახუტის ძე კვარაცხელიას გარდაცვალებას. 13745

დამწუხრებული მშობლები: მარიამ, ნიკოლოზ შვილებით, რძლებით, მამიდა ლიზა ბაქრაძეები იუწყებიან, რომ 6 აპრილს 2 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ **გიგას** ხსოვნის აღსანიშნავად. 13737

დამწუხრებული მეუღლე ვასილ ქურციკიძე, დედა ქეთარია, და პოლინე, ძმები: კაპიტო, გოგი იუწყებიან **ნინო თავზერიძე—ქურციკიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 საათზე, ყოფილ ალექსანდროვის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 13736

საქმამზადებათა კომიტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ვასილ კაპანაძის მამის **მელიტონ დავითის-ძე კაპანაძის** გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს 5 საათზე ხუმლის ქ. 10. კოლმეურნეების ხიდთან. 13731

გულმოკლული მშობლები: თეო, მაქსიმე, დები: სონია, თამარა, ძმები: გრიშა ცოლით, თომა, ოონა, ვასო იუწყებიან ძვირფასი **კარლო ცინცაძის** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 5 აპრილს ჩოხატაურში. 13730

მამა ცეცხლაძე ცოლით ზინაით, ყაისარ ჭოჭუაძე ცოლით თამარით, ახალდ გრძელიძე ცოლით ლიდათი იუწყებიან **ალექსი (შაქრო) ვასილის ძე ხმალაძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 5 საათზე საბჭოს, 123. 13722

ბებია ელისაბედ, ბაბუა ნიკო, ბიძები: სვიმონ, ვალიკო, დეიდა ბაბუცა, ბიცოლა ნინო კეზირიები იუწყებიან **ანდრო (ტოლია) იოსების ძე ხოშტარიას** უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს ყიფიანის, 9, კუკიის სასაფლაოზე. 13718

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ, შვილები: მარია, არტემ და ბაკო, მეუღლე მართასათი იუწყებიან **სამსონ გოგის-ძე ბურდულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 აპრილს. ს. ზურგეთი, შემოქმედის თემი, სოფ. გომში. 13728

დედა ნატალია, მეუღლე მინდორა, შვილები: გოგია და ფილია იუწყებიან ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარ მამის **ზარნაბ გიორგის ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ვანში 5 აპრილს. 13741

მეუღლე თამარ შვილებით: გურამით და მაციკოთი, და თინარ ქმრით აკაკი მიქაშავიძეთი მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი **ზაზული ისიდორის ძე ბაბაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 6 აპრილს. 13733

მეუღლე დიმიტრი ბეჟანიშვილი, შვილები: გიორგი ცოლით, გერათი, ალექსანდრე ცოლით მანიათი და ანნა ჩარტლაძე შვილით ბეჟანით იუწყებიან **დარია ბეჟანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7 საათზე კლარა ცეტკინის, 61-ბ. 13739

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. № 63. მთავლიტის რწმუნებული 8378